

წიგნის მარაზია „ცოდნა“-ს საკუთრება. № 18.

ვასი 20 ავგისტი

ვ ც ტ ვ

(გ ხ ა გ ხ ა გ ხ ა)

სისიკო მერკების მისას.

0303060

1904



წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს საკუთრება. № 18.

3 5 8 5

36007

(გვ და გვ)

სოსიქო მერკელაშვილის.



6 3 0 3 0 6 0

სტამბა თავართქილაძისა. მოიჯარალრე მ. მუგდუსაკოფოვი.
1904 წ.

Дозволено цензурою. 30 Июля 1903 г. Тифлисъ.

რ ა ჭ ა

(გზა და გზა)

I

ქუთაისიდგან ონამდე არის ას-რვა ვერსი. ამ გზის გაყოლება მოიკლაკნება ცქვიტი, და მაღაზი რიონი, რომელსაც აჰყვება ესრედ-წოდებული ოსეთის სამხედრო გზატკეცილი. ქუთაისიდგან ყოველ დღე მიდის და მოდის რამდენიმე დილიუანი, და საფოსტო ეტლი. წასვლაც არ არის ძვირი, სულზედ სამიდგან ოთხ მანეთამდეა.

მთელი რიონის ხეობა, რომელიც რაჭის შუა გულზედ ჩამოდის, მშვენიერის მწვანით მოსილ გორაკებით არის შემკული და მჭიდროდ მოფენილია ყავრით გადახურულ კოპტია სახლებით.

დილის 7 საათზედ გავედით ქუთაისიდან. ჩვენს დილიუანს ოთხი სხვა დილიუანი, ხალხით სავსე, უკან მოსდევდა. ყველა მგზავრები ქართველები ვიყავით. წინა დღეების ნიაღვრებისაგან გზები ძრიელ გაფუჭებული იყო, აქა-იქ მეწყერი. ჩამოწოლილიყო და გზატკეცილიც წალეკილ-გადასიღული და ჩახერგილი იყო. ამის გამო დილი-

უნცი ძალიან ნელა მიღიოდენ და ხშირად მგზავრებიც
ქვეითობდნენ. ამ გარემოებამ გამოიწვია ბასი მგზავრთა
შორის, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ რაჭის ზოგიერთ
ადგილებს და, მეტადრე ონს, ადრე თუ გვიან, დალუპვა
მოელისო, ისე ხშირად შემოეჩვია საშინელი მიწის ძვრაო.

— ეს ხუთიოდე წელიწადია, რაც მიწის ძვრა და
საშინელი მეწყერი შემოგვეჩვია, დაიწყო ერთმა ხანში
შესულმა რაჭელმა გლეხმა; თუ ასე გაგრძელდა მიწის
რყევა, რა გვეშველება! გადასასახლებელი გზა და ილა-
ჯიც არ არის. მეწყერი მეწყერზედ—ჰეწყრავს და თან
მიაქვს ტყე და მინდორი, ყანა, ბალ-ვენახები, ეზო-სამო-
სახლო და სახლები. ასე მჭიდროდ დასახლებულ რაჭაში
ისედაც ძვირი იყო მიწა და ახლა ამ მეწყერის და უბე-
დურობის შემდეგ ერთი-ორად გაძვირდა.

— რა ღირს ქცევა მიწა? დავეკრთხე მე.

— მიწაც გახლავს და მიწაც, მაგრამ, რაც უნდა
იყოს, საყანე მიწას—ქცევას ას თუმან ნაკლებ მაინც ვერ
იშოვნი და თუ პატარა ნიშან-წყალი ატყვია, თუ ათას
მანეთამდინაც ადის.

— რამდენი მოვა სიმინდი ქცევაზედ?

— თუ კარგი მოსავალი იქნა, ორმოც-და-ხუთი,
ორმოც-და-ათი კოდი.

— რა ღირს რაჭაში კოდი სიმინდი?

— შვიდი აბაზიდგან ორ მანეთამდე.

— საშვალო რიცხვით, რამდენი უნდა მოვიდეს ქცე-
ვაზედ?

— საშვალო რიცხვით უნდა ვიანგარიშოთ ოც-და-ათი კოდი სიმინდი.

— საშვალო ფასი სიმინდისა?

— მანათ-ნახევარი.

— ფულს რა სარგებლით შოულობთ რაჭაში?

— ფულს, ბატონო, ძალიანაც რომ გასჭირდეს, აბაზ ნაკლებ მაინც ვერ იშოვნით.

— გვალვამ, კოხმა, მეწყერმა და ან ბუნების სხვა მოვლენამ რომისე გაგიფუჭოთ დაზიარებული ყანის ჭირ-ნახული, რომ აღარა მოვიდეს-რა, იმ შემთხვევაში მიწის პატრონს აძლევთ რასმე?

— აჲ! მაშინ ქვე რაღას მისცემს, ორივე დაღუპული იქმნება და ის არის, იმას მიწის სარგებელი ეკარგება და ამას მუშაობა.

— სანახევროდ ძლიერ კარგია მიწის პატრონისთვის მიწის გაცემა, მაგრამ შიგ დაბანდებულ თანხის სარგებელს მაინც ვერ აიღებს.

— აჲ! ქვე რავა გეკადრება, პატონო!.. ფულის სარგებელს კარგი მოსავალი თუ ექნება, მაშინ ეგებო კიდე, ისე კი საშვალო და მდარე მოსავლის დროს, თქვენი თავი არ მამიკვდეს, მიწის პატრონმა ფულის სარგებელი ვერ აიღოს.

— ბატონო! აბა, ჩვენს ცხოვრებას ცხოვრება-კი არა ჰქვია, დაიწყო მეორე შექალარავებულმა გლეხმა, თქვენ არ მომიკვდეთ, რაჭამ თავის მიწა-წყლით ნახევარ წელი-წადსაც ვერ გაიტანოს თავი, მაგრამ ჩვენა ვცხოვრობთ

გარედგან შემოტანილით, ორი წილი რაჭის, მცხოვრები სულ გარედ არის სხვა-და-სხვა კუთხეებისაკენ გადახვე-წილი: ზოგი მეპურედ, მეზრედ, მებალე-მებოსტნედ, ზო-გი მენახშირედ, მეკურტნე მუშად, მზარეულ-ფარეშად, ხურო-დურგლად, მხერხავად, ვაჭრად და ვინ ჩამოსთვლის და ვინ იცის რა-და-რა ხელობას არ მისდევს რაჭველი; — იქ ნაშოვნი ფული რომ არ მოგვდიოდეს რაჭველებს, შენი თავი არ მომიკვდეს, ჩვენი ცხოვრება არ იქნებოდა!

— როცა აგრე შევიწროვებულად ცხოვრობთ, რატომ არ გადაესახლება საღმე ზოგი თქვენგანი, რას შეჯუჯგულ-ხართ ასე მჭიდროდ და ერთმანერთს არ შორდებით? ვკიოხე მე.

— ქვე სად წავიდეთ და სად გადავესახლოთ შენი ჭირიმე, — ჩამოერია მესამე, — ქვე ვინ მოგვცემს. აგრე ადვილად მიწა-წყალს?

— ჩვენს ქვეყანაშივე უნდა გადაესახლოთ, რასა-კვირველია; ი შავის ზღვის პირად ბევრია ცარიელი ადგილები, ათასი გადამთიელი მოდის და მკვიდრ საფუ-ძველს იკეთებს ჩვენს ქვეყანაში და თქვენზედ უპრიანი არ არის თქვენის სამშობლოს მიწა-წყალი? ნიაღაგსაც უკედ იცნობთ, იცით სად რა მოვა, ჰავასაც სხვებზედ უკეთ შეიფერებთ და დამუშავებითაც უკეთ დაიმუშავებთ.

— დამუშავებით, იცოცხლეთ და მეც ვიცოცხლო, მომიჭრა სიტყვა ერთმა, როგორც ჩვენმა კაცმა უცხო მოსულ ხალხზედ ბევრად კარგად დაიმუშავოს და არც ჰავას შეუშინდეს, თუ-კი რომ საშვალება იქნება.

— ბორჩალოს მაზრაშიაც არის სახელმწიფო და კერძო კაცების ადგილები, მოიპოვება კახეთშიაც, სადაც ან მუქთად იშოვნით სახელმწიფო უწყებისაგან და ან ძლიერ პირიან ფასში იყიდით კერძო კაცებისაგან და, შეიძლება, იშ პირობითაც, რომ მამულის ფასი გაავალიანოთ და ნაწილ-ნაწილათ ჩააბაროთ.

— ეგ ყველა ძლიერ კარგია ჩვენთვის და ფრიად სასარგებლოც. მოგეხსანებათ, შენი ჭირიმე, ჩვენს გლეხ-კაცობას მოჩიჩინე და შემგონებელი უნდა და ვინა გყვავს? და მეორე, მიწა-ადგილის მომძებნი თავი კაცები და წინა-მძღოლები ძალიან ძვირია ჩვენში.

მივუახლოვდით სოფ. წესს. აქ ცის სივრცეში ამართულს მიუდგომელს კლდეს სულ რაღაც ხუთიოდე ადლის სივიწროვეში ჩაუგდია გიუმაჟი რიონი. სწორედ ამ ვიწროებაში იყრება სამი გზა, „ნაქერალაზე“ ტყიბულ-ამბროლაურისა, ონის და ქუთაისის გზატკეცილი; ქუთაის-ონის გზატკეცილიდგან საამბროლაურო ტყიბულის გზატკეცილისკენ საეტლო ხიდია გადებული.

ამ ვიწროებში რიონს გალმა-გამოლმა მაღალ კლდის უბეებში აშენებულია ორი ციხე; ამ ადგილს ჰქვიან „ხიდის კარი“ და მართლაც რომ კარებია ზემო რაჭისა.

აქედგან მივედით ისტორიულს სოფ. ბარაკონში, სადაც ერთ დროს გალალებული რაჭის ერისთავი როსტომ სჭექდა და ჰქუხდა. სოფელს დღესაც ამაყად დასჩერებია საშინელს მაღალს მთა-კლდის ნაპრალზედ გაღმოდგმული და თითქმის ყოველ მხრივ მიუდგომელი. ციხე-

დარბაზი როსტომ ერისთავისა. ერთი შეხედვა კმარა ამ შესანიშნავ სიმაგრისა, რომ იგრძნოს კაცმა მფლობელის დიდი შემძლებლობა. კარგად შენახულს ციხეს დიდი ხანი არ არის, რაც სამირეთ-აღმოსავლეთის მხრივ ჩამო-ჰქმევია კყდლის ერთი გვერდი. ძირს რიონის პირად მშვენიერს, ხეხილით მორთულს და ამწვანებულს ვაკეზედ აგებულია როსტომ ერისთავისაგანვე მშვენიერი ტაძარი, სწორედ იმ გეგმაზედ, როგორც გელათია და ნიკორ-წმინ-და, ხოლო იმათზედ მორჩილია. გარედგან კარები, ფან-ჯრები და ზოგი სხვა ადგილებიც მშვენიერის ჩუქურ-თმით არის შემკული, შიგნიდგანაც მშვენიერი მხატვრო-ბაა თურმე. ჩვენ ვერა ვნახეთ ეს ტაძარი, რადგანაც დაკეტილი იყო და გასაღები მღვდელს წაედო სოფლად. სამხრეთის მხრივ, გარედგან, კარის შუბლის ქვაზე წარწერა აქვს სიგანით ერთი ადლის სივრცეზედ 9 სტრი-ქონად, რომელიც ვერ ამოვიკითხე, გავარჩიე მხოლოდ შემდეგი სიტუაციი: „საყდარისა ამის ამშენებელი ერის-თავი როსტომ აბრამის წიაღსა განსვენებულ ჰყავ...“

აღმოსავლეთის მხრივ აქვს წარწერა: „ამისი ოსტატია შულავერელი ავთანდილი, ვინც ნახოთ, შენდობა ბრძა-ნეთ“. სხვა წარწერა გარედგან ვერ შევამჩნიე, ზოგან გარშემო სარტყლის ქვები დაზიანებული აქვს, ეტყობა, ზედ წვიმა დასდის, და თუ ამ მდგომარეობაში დარჩა, კითხვა არ უნდა, დაზარალდება, საჭიროა, დიდი ყურა-დლება, რომ ეს ძვირფასი და დიდებული ტაძარი, რომლის გარეგნობაც-კი სასოებას ჰგვრის აღამიანს, დაცულ იქმნას, და ჩვენის დაუდევრობის გამო არ განადგურდეს.

აქედგან მივეღით ონს. დაბა ონი გაშენებულია რიონის პირად, ვაკე აღგილზედ. გარშემო ამწვანებული მთა-გორები აკრავს, ხოლო თავს დასცემის ამ უამაღ უკვე მცირედ შეთოვლილი, ქედ მოღერებული შოდას მთა, რომელსაც თითქოს ცაში მიუჭერია თავიო. შოდას მნახველს ქართველს უთუოდ მოაგონდება მგოსნის სიტყვები.

მე ქართველი ვარ, ჩემი სამშობლო
ორ ზღვას შუა გადაჭიმული.
თუმც პატარაა, მაგრამ ბუნებით
ყოვლის სიმდიდრით არის შემკული.
მის დიდროვანი, მაღალი მთები
შეხე, თოთქო ცას ებჯინებიან
და იქიდგანა ტურფა ქვეყანას
სიამაყითა თავს დასცემიან.

ონში არის მოთავსებული სოფლის სამართველო, მაზრის სამართველო, საბოქაულო, მომრიგებელი სამსაჯულო, ნოტარიუსი, ფოსტა-ტელეგრაფი, მაზრის ექიმი, აფთიაქი, უფასო სამკითხველო და სხვა. აქვს სასწორი, დუქან-ბაზარი, ბაზრობაც კვირეში ორჯერ იცის — კვირა-ობით და პარასკეობით; ბაზარში შემოაქვსთ ხე-ტყე (მომეტებული ნაწილი «კვაჟის» საერთო მთიდგან), შალეულობა, ერბო-კარაქი, ხილი და სხვა სანოვაგე. ერთი სიტყვით, ონს ყველაფერი აქვს, გარდა გონების ასამალლებელ და განსავითარებელ სასწავლებლისა... დიალ! ონს არა აქვს არავითარი სასწავლებელი, თუ სახეში არ მივიღებთ ერთად ერთს ორ-კლასიან ნორმალურ სასწავლებელს, რომელსაც აქ ანორმალურს სასწავლებელს

უწოდებენ, როგორც არა ჩვენს ნიადაგზედ აღმოცენებულს და ჩვენის ცხოვრებისათვის სრულიად შეუფერებელს. — ამისათვის თანამგრძნობელი ცოტა ჰყავს და მომდურავიკი ბევრი.

იმ დროს მოჩიხდა ონში მისვლა, როცა მცხოვრებნი ძლიერ შეშფოთებულნი იყვნენ მიწის ძერისაგან: წინა დღეს, 6-ს მარიამობისთვეს, თოთხმეტ-ჯერ ყოფილა მიწისძრა, სამჯერ-კი უფრო ხანგრძლივი და ძლიერი და ესეც მაშინ, როცა ონი დილის ძილში ყოფილა (მიწის ძრა დილის 6-ზედ დაწყებულა). მიწის ძრიელი ძვრისაგან შეშინებული მცხოვრებლები მთლად ქუჩაში გამოცვინულან, ზოგი ფეხშიშველი და ზოგი ისე, როგორც ლოგინში ვანისვენებდა, ერთი სიტყვით, ონი შიშა და ძრწოლაში იყო ჩავარდნილი; დიდიდგან პატარამდის ყველანი. მხოლოდ ამ სავანზედ ლაპარაკობდნენ, ზოგი წარსულზედ უბნობდა და და მომეტებული ნაწილი-კი ონის მომავალზედ წინასწარმეტყველებდა.

— ონი ნამდვილად ჩაინგრევა და დაილუპება, შენ ნუ მომიკვდები.

— ვაი, შენ მოგეხსპო იმედი და დაგეხსო მაგ ენაზედ ეკალი, კაი მახარობელი შენ არ იყო.

— იმე! ბატონო, ერთხელ თურმე მეფეს მოახსენეს: ქედისი („წედისი“) დაიწვაო.

— «იმე! რაც იმას ბერვა ქონდა, ან აქამდის რავა გასძლოვო», ბრძანა თურმე მეფემ, მისი არ იყოს, რაც ამ ჩვენ ონს ძირიდგან ძაძგა-ძუძგი აქვს გამუდმებულ მიწის

ძვრისაგან, რა გასაკვირველი იქნება, შენი ჭირიმე, რომ ერთს მშვენიერს დღეს ჩვენი კარგი მიღამოებით და სახლ-კარით მთელმა ონმა იშხვარივით ჩაყვინთოს და ტვლება გაადინოს ცოცხლად საიქიოს.

სულ ამ გვარი გაცხარებული ლაპარაკი ისმოდა ონის ჭუჩებზედ.

ჩვენი ქვეყნის გულშემატკავართ ონის განათლებულ ნაწილს აზრად აქვს დააარსონ ონში ხუთ-კლასიანი საქა-ლაქო სასწავლებელი; ვისურვებ ეს მათი აზრი განხორ-ციელებულიყოს, რომ მთელ რაჭის მოზარდ თაობისთვის ერთი სასწავლებლის დარსება მაინც მოეხერხებინოთ.

II.

რაჭაში გარდაიკვალა მაზრის წინამშლოლად ნამყოფის აზნაურის კვიტაშვილის მეულლე, წერეთლის ასული ანა, ქალი მდიდარი და უშვილო, ერთად-ერთი მექვიდ-რე თავის მამა-პაპეულის დიდი ადგილ-მამულისა და რა-მოდენიმე ათი-ათასი თუმნის ნალდი ფულის პატრონი. საზოგადოდ, ამ ქალის გარდაცვალებამ, თითქმის, მთელი რაჭა აალაპარაკა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მეტაზრე თავად აზნაურობაში. „რა უყო მდიდარ შეძ-ლებას“, „ვის რა დაუტოვა“, „რამდენი დასტოვა-საქველ-მოქმედოდ“ და „რომელ საქველ-მოქმედო და-რგს და საჭიროებას რამდენი დაუტოვაო“, — ყველგან ეს-ეთი კითხვები გაისმოდა რაჭაში.

— თქვენ არ მომაკვდეთ, ამბობდა ერთი შეჭალარა-ვებული დარბაისელი ზავადიშვილი, ნამდვილად შევიტ-ყე, ოცი ათასი მანეთი ნალდი ფული დაუტოვებია „ქა-

რთველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-
გადოებისათვის“ და ათი ათასი მანეთი ქართველთა საე-
რო მუზეუმის სახლის ასაგებადაო...

— კი ბატონო, ეგ ამბავი ჩვენც გევიგეთ, უთხრა
მას ერთმა ჭაბუქმა, რომ წერა-კითხვის საზოგადოებასა
და ქართულ საერო მუზეუმს ოც-და-ათი ათასი მანათი
დაუტოვაო, მაგრამ იმასაც მოგახსენებენ, მთელი თავისი
დიდი შეძლება — ადგილ-მამული, ტყე-მინდობრი, სახლ-
კარი და ნალდი ფული, ერთის სიტყვით, რაც-კი რამ
ქონება გააჩნდა, სულ რაჭელებისათვის დაუტოვებია,
განურჩეველად წოდებისაო.

— როგორ თუ რაჭელებისათვის, რანაირად, შე
კაცო?

— რანაირად და მოგახსენებთ: უანდერძებია, რომ
გაიხსნას სოფელ ამბროლაურში ქალთა და ვაჟთა ხუთ-
კლასიანი სასწავლებელი რაჭის მოზარდ თაობისათვის.

— იმე! კაია ეგყც, შენმა გაზდამ, მაგრამ რა გამო-
ვიღა? თუ ჩვენ ენას არაფერი ეშველა, ეგ სასწავლებე-
ლი მაინცა და მაინც დიდ ხეირს არ დააყრის რაჭას...

— იმე! რავა გეკადრება, ბატონო! მაგ რავა დაავიწყდე-
ბოდა კეკელას*), მთელი ანდერძი მაგაზედ გახლავსთ დამყა-
რებული. ერთი მუხლი ანდერძისა ამბობს შემდეგს: გაიხსნას

*.) ნათლობის სახელი თუმცა ანა უჩქვა, მაგრამ პატარაობი-
დანვე თურმე კეკელას ეძახდენ.

სოფელ ამბროლაურში ხუთ-კლასიანი ვაჟთა და ქალთა
სასწავლებელი, საბაღოსნო და სახელოსნო განყოფილე-
ბით, რომელშიაც ქართულ ენას ჰქონდეს უპირატესობა
მინიჭებული და, თუ ვინიცობაა, ოდესმე ქართულ ენას
უპირატესობა ჩამოერთმევა მოხსენებულს სკოლაშიო, მა-
შინ ყველა ჩემი ნანდერძევი ქონება ჩამოერთვას სკო-
ლას და ჩემს კანონიერ მემკვიდრეებს გადაეცესო.

— იფჰ! იფჰ!! იფჰ!!! კაია, შენ არ მოუკვდე ჩემ
თავს; აი, დაგამკვიდროს ღმერთმა სასუფეველსა შინა,
ჩვენო ძვირფასო კეკელა; შენ გაგხსენებია შენი სამშო-
ბლო კუთხის სიბნელით მოცული გზა-დაკარგული მოზა-
რდი თაობა და შენი ლვიძლი სამშობლო ენა. მამა ნუ
წამიწყდება, კარგი და გამოჩენილი ქალი იყო სიცოცხლე-
შიაც და სიკვდილის შემდეგაც დიდი სახელი დაუტოვე-
ბია! იმე! მეხუმრები, ბატონო! მაგისთანა საქმე საქვეყნო
და საშვილიშვილა!

— იმე! რასა ბრძანებთ, ბატონო, საშვილიშვილო-
კი არა, თქვენს სიცოცხლეს ვითიცავ, ეს საქმე მთელი
რაჭის სახელია.

— ეჸ! ტყვილა-კი არ არის ნათქვამი, ჩემო დარისპან,
რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაბატსა შემიდას.

თუ ენა დავკარგეთ, შენ არ მომიკვდე, ქართველობის
ხსენებაც გაქრება.

— იმე, ბატონო, ჩვენი მამა-პაპათა ანდერძი, — ჩამო-
ერია მესამე, — ენა, რჯული და მამულის შენახვა იყო; ამ

სამი საგნისათვის იბრძოდნენ მთელი საუკუნოები და ჩვენამდის წმინდად მოიტანეს და გაღმოგვცეს, რომ ჩვენც სპეტაკად შენახული შთამომავლობას წმინდად და უმწიკვლოდ გადავსცეთ.

— ეჰ! ეგ-კი, მაგრამ რომ ველარ ვუვლით ენას, რომ ველარ ვინახავთ! აბა, შეხედე, შე კაცო, სამეგრელოში, სვანეთში და სხვაგან რა შემოულიათ! იმე! სკოლებში ქართული ნულარ იქნებაო!! ამისთანა უკულმარ-თობას კაცი რავა შეურიგდება!

— არა უშავს-რა, ბატონო! „წყალი წავა და წამოვა, ქვიშანი დარჩებიანო“. ეგ ყველა შეუფერებელი მოვლინება წარმავალი გახლავსთ. სამეგრელოს, ბატონო, ბევრი საერთ და სასულიერო გამოჩენილი შვილები ჰყავს, თავადი, აზნაური, სამლელელოება, ვაჭარი. დარწმუნებული ვართ ყოველ უსამართლობას წინ აღუდგებიან.

— ნათლად მიდგია თვალი-წინ დღევანდელი დღესავით საწყალი მამაშენი; რა აღტაცებით და გაბრწყინებულის სახით იტყოდა ხოლმე ზეპირად ამ ლექსს:

„ენა ცხოვრების წყაროა,
უკვდავი, დაუშრობელი,
ენა კუკური ვარდია,
ხალხისთვის დაუკენობელი,
ენა წარსულის მოწმეა
და მომავალის მშობელი,
ენა სიბრძნეა აწმყოსი,
ლამპარი გაუქრობელი.“

ენა აქვს კაცობრიობას
კედლად და საფუძველადა,
ენა სვეტია ერისა,
მასზედ სდგას იგი მრთელადა,
ენა აზრს დაასურათებს
და შეიქმნ ხორციელადა,
ენაში გამოიხატვის
ბუნების ძალა ვრცელადა.

ენაა ხალხის დიდების
სალარო შესანახავი,
წარსულთა საუკუნეთა
შენს წინა გამომსახავი;
ენა სიწმინდის კვერთხია,
უზადო, დაუზრახავი,
ენაში მოინახების
ყოველი მოსანახავი.

რა ბავშვი შობოს დედამა,
ძუძუ აქვს საწოებელი,
ერთად ძუძუსთან ენაა
იმისი შსაზრდოებელი;
ენა თან დასდევს, მსახურობს,
ვითა ერთგული მხლებელი,
ენაა მისი საკვები
და მისი მაცოცხლებელი.

ენაა მანათობელი,
გვირგვინი ხალხოსნობისა,
ენა სულის ცხოველი
იმისი არსებობისა,
ენა ჯილდოა ღვთიური
კაცობრივისა გრძნობისა,
ენა ერთობის ხიდია
და კავშირია ძმობისა..

ბავშვი ენითა გაიცნობს
თავისსა გარეშემოსა,
სულიერის და უსულოს
საგანთ, სახელს და გემოსი,
ვინც რომ ზამთარი გაცარცვა
და გაზაფხული შემოსა,
მოქალაქობას, სამართალს
კერძოსა, გინდ სათემოსა.

დედას რომ შვილი მოსტაცო,
ალარ აჩვენო თვალითა,
მშობლურის გრძნობით ნაწლევნი
დაეწვის ცეცხლის ალითა;
ვერ შეუმცირებ სატანჯველს
ვერა ყინულის წყალითა,
მაგრამ მეორეს დაბადებს
ბუნებრივისა ძალითა.

თუ ხალხს სამშობლო წაართვით,
განსდევნეთ სხვაგან ბნელშია,
ხალხი კვლავ ხალხად დარჩება,
არ დაინთქება ხვრელშია;
ან შეიქმნა ახალ სამშობლოს
უდაბურს ტყე და ველშია.
ან დაიბრუნებს თავისას,
მტერს გამოსტაცებს ხელშია.

როცა აქვს, ყველა წაართვით,
ნუ შეეხებით ენასა,
და როცა ენას წაართმევთ,
დაჰკარგავს ხელვა-სმენასა;
ვერ დაიბრუნებს წართმეულს,
დაიწყებს კბილთა ღრუჭნასა,
ბოლოს გაჰქრება, მოკვდება,
მოსპობს სულისა ქშენასა.

არიან ზოგნი ქალ-ვაჟნი
ჩვენივე მიწის შვილები,
სასწავლებლებში გავლილნი,
სიყრმიდგან ნაცოდვილები!
აღარ მოგვანან ქართველებს,
გვონიათ, გამოცვლილები,
თავის ენაზედ საუბარს
ირცხვიან დალოცვილები.

ენა გვაქს წინაპართაგან,
უით უანძო გაღმონაცემი
და, ოოგორც სჯული, ენაა
უმაღლეს პატივ-საცემი;
ვინც ენას დადმახინჯებს,
იქნება მისი დამცემი,
ის ჩაითვლება საეროდ,
ვითარ იუდა გამცემი.

რომელიც გასცვლის უცხოზედ
მშობლიურს ანაბანასა,
ის თავის ძმასაც უმუხთლებს,
გულში ჩაასობს დანასა,
ვინც დედა ენით არ უმღერს
თავის სამშობლოს ნანასა,
ქების წილ ზიტლით ვიხსენებ
ქართველსა ამისთანასა.

ტირილი განსვენებული ანა კვიტაშვილისა დანიშ-
ნული იყო მისი გარდაცვალების მეათე დღეს, მარიამო-
ბისთვის 14-ს; მრავალი ხალხი ჰყავდა მიპატიუებული-
სხვათა შორის, რასაკვირველია, ჩვენს გულუხვ მასპინძელ-
საც მოუვიდა მიპატიუების ბარათი. ისინი მოემზადნენ
წასასვლელად. ჩვენ გადაწყვეტილი გვეონდა ნიკორწმი-
ნდის ტაძრის და ჭელიშის მამათა მონასტრის ნახვა და
რადგანაც გზა იქით იყო, მასპინძლის რჩევით, ჩვენც

მათ გავყევით. ლილის გაჭირვებით მოგვიხდა გადასვლა მდ. რიონზედ გადადგმულ ბუგეულის ხიდზედ, რომლის განახლებასაც ახლა შესდგომიან. ძველი ფიცრები მთლად აუყრიათ და ნათხოვრად სამ-სამი ფიცარი გაულაგებიათ, ცხენ-ჯორი ძლივს გავიყვანეთ ამ დაზიანებულსა და სა-შიშარ ხიდზედ. გაღმა მრავალს მომტირალ ასაბიას შე-ვუერთდით; ასე, ჯარად შეყრილნი გავუდექით გზას. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ, როგორც ჩვენმა მასპინ-ძელმა, აგრეთვე ზოგმა ნაცნობმაც, გვირჩიეს შეგვევლო სატირალში, გვენახა აქაური საზოგადოება და ტირილის წეს-რიგი.

მე, რადგანაც იმ აზრით ვიყავი რაჭაში, რომ იქაური ჭირიც მენახა და ლხინიცა, დავთანხმდი, ბევრი ხვეწნა და ჩიჩინი აღარ დამჭირვებია, მრთ უმეტეს, რომ ძლიერ მსურდა გამეგო განსვენებულისაგან დატოვებული ანდერ-ძის სინამდვილე.

გჩაში მთელი ასაბია სიცილ-ხუმრობითა და ღლა-ბუცით მიღიოდა; ჩემზე, რასაკვირველია, ეს ვერ ახდენ-და კარგს შთაბეჭდილებას და ორს ჩემს ნაცნობს ვუთხა-რი:

— სატირალში მიბრძანდებით ღლაბუცითა და სი-ცილით და იქ-კი უნდა წიიშინოთ თავში ხელი და ეტი-როთ, როგორი საქციელია ეს, არ მესმის, თუ გეტირებათ, რალის ცუინით, თუ არ გეტირებათ რალათ მიღიხართ?

— ნეტა ეს ჩვეულება გადავარდებოდეს, სოჭვა ერთმა ჭაბუკმა. დღეს უკანასკნელი, თოხას-ხუთასი ჯორ-ცხენი

მაინც იქნება რქ, თითო მანათი რომ ჩაუგდოთ ჭირა, ეს ოთხას-ხუთასი მანათი გამოვა და ახლა ამოდენი ხალხის გაცდენას არ იფიქრებ! ეს სოფლის ზარალია, თუ არა? ახლა კიდევ ჭირისუფლის ხარჯი, მეტადრე თუ ლარიბრა! მიჰყევი ასე და იანვარიშე, საღამდის მიგიყვანს.

— ეპისკოპოზე-კი უბრძანებია, მგონია, რომ მოის-პოსტილიო, მაგრამ ეს ამ მღვდელს უფრო ეცოდინება; მართალია, თუ არა, მამაო, მართლა აკრძალა ტის რილი ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა?

— ყოვლად სამღვდელო ლეონიდს შეგისთანა არა უბრძანებია-რა და არც არა გამოუცია-რა, რომ თქვენს მიცვალებულს თქვენ ნულარც იტირებთ და ნულარც პატივს სკვემთო, არა, ეგეები სულ ტყუილია. ეპისკოპოზმა აკრძალა ის, რომ შემოსილი მღვდლები, საცეცხლურის კმევით თვითონეულ მომტირალს არ შეეგებოს წინ და მეტი არაფერი. აგრეთვე ბძანა, რომ მიცვალებული ეკკლესიაში წირვაზედ წაასვენეთ ხოლმეო.

— დიახ, ეპისკოპოზს უბძანებია, დილის ცხრა საა-თზედ წირვაზედ წაასვენეთ მიცვალებულიო, ასე უთენია დილის ცხრა საათამდის ტირილს ქვე ვინდა მოასწრებდა! ალბათ, ამითი უნდოდა ყოვლად სამღვდელოს ჩვენი ამ გაჭირვებისაგან და ამოდენა ხარჯებისაგან დახსნა, მაგრამ საქმე სხვანაირად მოვაწყვეთ; მაგალითად, ეპისკოპოზი ლეონიდი კვიტაშვილმა ხვალისათვის მიიწვია, დღეს გამოტირილი აქვს და მიცვალებულს საღამოს, ტირილის შემდეგ, საყდარზედ მიასვენებს, ხვალ ეპისკოპოზის წი-

რვა იქნება და წირვის შემდეგ იქნე დაკრძალავენ მიცვა-
ლებულს, ასე რომ ჩვენ ეპისკოპოზის ბრძანებასაც ვას-
რულებთ და არც ჩვენს ჩვეულებას ვღალატობთ...

მიცუახლოვდით მიცვალებულის სახლს. დიდი, ფარ-
თო ეზო ნახევრად სავსე იყო ხალხით. ოდის ჰემო-სარ-
თულიდგან ზარის (ტირილის) ხმა მოისმოდა. ჭისკარს
გარედ რამოდენიმე მოსამსახურე კაცი იდგა. მომტირლე-
ბისათვის ცხენების ჩამოსართმევად და დასაბინავებლად.
მოსულს მომტირლებს აჩერებდნენ ეზოს ცალკუთხეზედ,
ჭისკრისაკენ. აქედგან თვითოვეული მომტირალი რიგ-რი-
გობით მიჰყავდათ ხმა-აშვებულ მოზარეებს სატირლად.
მოზარეები დარბაზიდგან (საცა მიცვალებული ესვენა)
მიღიან ჩუმად; რომ მიუახლოვდებიან ჯგუფად დამდგარ
მომტირლებს, აუშვებენ ზარს (ერთი იწყებს, მეორე
მაღალ მოძახილს ამპობს და ორიც ბანს) და გაემართე-
ბიან მიცვალებულის დარბაზისაკენ ნელის ნაბიჯით. მომ-
ტირალი შემოიკრავს თავში ხელს ხმა-მაღლა დაძახებათ:
„ვაი ჩემს სიცოცხლეს“, „ვაი ამ დღის მოსწრებასო“!
და მოჰყვება სიტყვების გარკვეული გამოთქმით ტირილს,
ყოველ მომტირალს ორი კაცი (ჩამყოლი) მიჰყვება. ესენი
აქეთ-იქით ამოუღებიან, დაუჭერენ მკლავებს, რომ ვამ-
წარების დროს მომტირალმა თმა ან წვერულვაში არ
გაიბჩენას, ლოყები არ ჩამოიკაწროს და ან სხვა ძლიერი
ვნება არ შიაყენოს თავის თავს.

ხელის გულივით გადაშლილს მწვანე ეზოში დიდი
ცაცხვი სდგას; იმის ქვეშ ორ პირად გალაგებულია ქვებ-

ზედ გძელი ფიცრები ხალხის დასაჯდომად. აქ უფრო თავად-აზნაურობა და სამლოდელოება შეეროვნილი, იქვე ორმოციოდ ნაბიჯის მოშორებით, სდგას ახალი ორ-სარ-თულიანი ოდა (სახლი). შესავალ კარების სწორი (პირ-დაპირ) ეხოში ერთ ბიჭს უჭირავს მიცვალებულის საჯ-დომი ცხენი; სულ მთლად შავებშია ცხენი, რომელსაც უკულმა ადგია მგლოვიარედ მორთული უნაგირი. კიბის ასავალთან ორი კაცი დგას, რომელნიც არ უშვებენ ცნობის მოყვარე ხალხს მაღლა; ოდის დარბაზის შუა-გულზედ ასვენია ცხედარი; მის პირდაპირ, მარჯვენა კუთ-ხეში, სკამჩედ ზის მიცვალებულის გაჭალარებული ქმარი; აქედან მარცხნივ ფეხ-მოკეცით ჩამომჯდარან ხალზედ თმა ჭაშლილნი და მგლოვიარედ მოსილნი მიცვალებუ-ლის ნათესავ-მეგობარი ქალები.

მოზარები მიუძლვებიან მოთქმით მომტირალს კა-რებამდის, იქ გარდასცემენ მეორე პირ მოზარებს. რო-მელნიც დარბაზში არიან და შეუწყვეტლად ამბობენ ზარს.

მომტირალი მიუჩოქებს კუბოს და მოთქმით ეუბნე-ბა სიტყვას მიცვალებულს. ზოგიერთი მომტირლის გულ-დამწველ სიტყვების გამგონე მაყურებელნი ცრემლათ იღვრებიან.

ჩამყოლის რიგია, რაც შეიძლება, დროით ააყენოს მომტირალი, რომ მეორე მომტირალს არ დაუშალოს, არ შეაჩეროს. ამდგარი მომტირალი მიუტირებს მთავარ ჭი-რისუფალს შესაფერის სამძიმრისა და სანუკეშო სიტყვე-

ბის მოთქმით, შემდევ მეორეს, მესამეს და ასე დაჰყვება კირისუფლებს; თუ ახლობელია, ტირილის დროს ჩა-კონება ან დაჩოქილი ახლოს შესტირის, თუ უნათესაო კირისუფალია და, მეტადრე ქალი, ფეხზე დამდგარი რა-მოდენიმე ნაბიჯის მოშორებით მიუტირებს; ამ გვარად ჩამოჰყვება კირისუფლებს და შემდეგ გამოვა მომტირა-ლი გარედ. დამავიწყდა მეთქვა, რომ რომა ტირილს გაათავებს კუბოს წინაშე და მომტირალს მთავარ კირის-უფალთან მიიყვანენ, მაშინ მოზარე უკან ბრუნდება და კარებიდან ართმევს მეორე მოზარეებს — მომტირალს, სანამ პირველი მომტირალი ჩაივლიდეს მისამძიმრ-მიტირლით ყვე-ლა კირისუფლებს, მანამ მეორე მომტირალი ათავებს კუბო-ზე ტირილს და ჩამოჰყვება სამძიმრის თქმას მის წინა მო-მტირალივით. ასე ამ გვარად, გძელდება ტირილი თი-თქმის სამხრობამდის და ხშირად მეტ ხანსაც.

თუმცა, როგორც ზევითა ვსთქვით, კარის კაცებიც დგანან, რომ მეტი არავინ შეუშვინ შინ ან მოა-ჯირზედ, რომ მომტირლებს უბრალო ხალხმა გზა არ შეუკრას, არ შეხუთოს, მაგრამ შეუძლებელია ხალხის შეკავება, ტირილის მაყურებელნი მაინც ბლომად არიან; უყურებენ თვითოვეულის ტირილს, ისმენენ გამოთქმულს აზრს და სიტყვებს. ტირილს და-შრუნებელ-მომწონებელიც ბლომად ჰყავს. მრავალი მომ-ტირალი სახელ განთქმულია და წინაღაწინვე იციან რომ ის კარგად იტირებს..

ზოგზედ ამბობენ: „მშვენიერი ტირილი იცის, მაგრამ წოუხდინეს, ბატონო ტირილი“. ზოგი, მართლა, ძლიერ მჭერ-მეტყველია ტირილში და განგაცვიფრებს მისი მჭევრმეტყველებით. ზოგი მოურიდებლად და გაპელულის სიტყვებით ამხელს მიცვალებულს, თუ იგი ამის ლირისა... რამდენიმე კაცის ტირილის დაუგდე ყური; ერთი მათგანი ასე ტიროდა:

— „დაო კეცელა, ჩვენში ქონებრივად მდიდარი ქალი იყავ; სიცოცხლეში შენის ქვეყნისათვის მაინც და მაინც ბევრი არა გაგიკეთებიარა და, სასიკვდილოდ მიწურულს, გაგხსენებია შენი სამშობლო ქვეყანა და მისი გონებითა და ქონებით დაქვეითებული ხალხი და დაგიტოვებია მათ შვილთა აღსაზრდელად შენი ქონება, რომელსაც ახლობელი მემკვიდრეებიც არა ჰყავს. თუ ეს ასეა, მართლა რომ სიკვდილის დღეს მაინც გაგახსენდა შენი სამშობლო და მისი საშიახური, ბარაქალა შენს ქალობას და მეც ამისათვის გულით დაგტირი და თუ ეს ასე არ გიქნია, მაშინ ეს ჩემი ცრემლები მიიღე სამარადისო სასაყველუროდ“.

რაც შეეხება დატოვებულს ანდერძს, საქმის სინამდვილე ვერ გავიგეთ, გამორკვეულს არაეინ არას ამბობდა, გავიგეთ მხოლოდ ის, რომ ანდრეძის ქალალდი აბარია ერთს მღვდელს, რომელსაც უთქვამს: „სანამ ას თუმანს არ მომცემთ, მანამ არც გაჩვენება და არც შინააჩს გეტყვითო“.

ამ მოძღვრის შეუფერებელმა მოთხოვნილობამ და

საქციელმა დიდი უკმაყოფილობა გამოიწვია საზოგადო-
ებაში და ზოგნი თავის ქნევით ამბობდენ:

„ღმერთო, უარესისაგან დაგვიხსენიო“.

III.

ნიკორწმინდას მივედით მარიამობისთვის 14. მთე-
ლი მიღამო ნიკორწმინდისა მშვენიერი და მომხიბლავია.
დაცემულსა და განიერს ამწვანებულს ვაკე-მიღამოს, ზო-
გან-კი გორაკებით შემკულს, მხოლოდ 3—4 ვერსის შან-
ძილზედ, სამხრეთ-დასავლეთით, აკრავს ხშირი და მაღა-
ლი ნაძვ-ფიჭვისა და ცაცხვის ხეებით შებურვილი მთები.
ჰავა ფრიად მსუბუქი და მშვენიერია. ზღვის დონედგან
ნიკორწმინდის მდებარეობა თითქმის ვერსს ნახევრით არის
მაღალი (4,785 ფ.). აქაურობა ერთი საუკეთესო სააგარა-
კო ადგილია. წინეთ ჩვენი მეფეების საზაფხულო საცხო-
ვრებლად ეს ადგილები ყოფილა. ნიკორწმინდიდგან ორი
ვერსის შანძილზედ მდებარეობს სოფ. აგარა, რომელიც
წარსულში მეფეთა და წარჩინებულთა სააგარაკო ყოფი-
ლა, და ამის გამო დარქმევია „აგარა“.

ნიკორწმინდა კოპტია და მშვენიერი სოფელია. აქ
სულ გლეხობა ცხოვრობს, რიცხვით სამას კომლამდის.
ლაზათიან საჯალაბო სახლს გარდა, მაღალი ფიცრულის
ღობით შემოვლებულს კარ-მიღამოში ყოველს გლეხს
უდგია, სასტუმროდ, სამ-ოთხ თვლიანი გადაჭევილი ოდა-

არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთს საქართველოში ამისთანა კონტად და კარგად მოწყობილი სოფელი არ მინახავს. აქ თქვენ ვერ შეხვდებით ვერც დაძველებულს სახლს და ვერც დაბეჭავებულს მოსახლეს.

ამ სოფელს ხელობად აქვს დურკლობა და ამ ხელობით განთქმულნი არიან აქაურები. მთელს რაჭაში, რაც კარგი სახლია, მეტაზრე ქვემო-რაჭაში, მომეტებული ნაწილი ნიკორწმინდელების აშენებულია. აქ ხშირათ გაიგონებთ: „რა გატრაბახებს! შენ მომიკვდე, ნიკორწმინდელებს გავხარ დურგლობაშიო!“

ნიკორწმინდის ტაძარი წმინდა ქართული ყაიდისა და გელათისა და მცხეთის გვარი, მხოლოდ მათზედ მორჩილი; სდგას სოფლის პირში სამხრეთით მაღილობ აღგილზედ. ეს ღიდებული ტაძარი, როგორც წარწერბიც მოწმობს, აგებულია ბაგრატ მეოთხისაგან, მეთერთმეტე საუკუნეში. ბაგრატ მეფობდა 1027—1072 წწ. დასავლეთის კარების ბჭეზედ აქამდის მშვენიერად დაცულია შემდეგი წარწერა: „ქრისტე, ძეო ღვთისაო, აღიდე სამართლით და დღეგრძელობით ბაგრატ, აფხაზთა და რანთა მეფე, ქართველთა კურატპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი“. ეკვლესია ნაშენია თლილი მოჩუქურთმებული ქვით და, განსაკუთრებით, მთელი გუმბათი იშვიათის ტა განსაკვითრებელის ხელობის ჩუქურობით არის აგებული. მთელ გუმბათზედ ვერ იპოვნით ხელის სიფართე ალაგსაც, რომელიც ძრიელ წვრილის და ღრმა ჩუქურთმის კუწუბიო არ იყოს შემკული. უყურებ ამ ჩვენის წარსულის ხუროთ-

მოძღვრების და ხელოვნების დიად ნაშთს და ვერ აშორებ თვალს, გინდა უცქირო და სტკბებოდე მისი სიმშვენიერით. მე დამივლია ჩემი ძვირფასი სამშობლო, საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის მრავალი კუთხეები; მინახავს მისი განსაკვიფრებელი ხელოვნების დიდებული ნაშთები, მაგრამ ნიკორწმინდის ტაძრის ხელოვნებისთანას-კი არსად შემხვედრივან.

ფრანგთა მოგზაურს დებუას უნახავს ნიკორწმინდის ტაძრი 1833 წელს და აი, სხვათა შორის, რას ამბობს იმის შესახებ:

„ჩუქურთმა და მხატვრობა, რომელიც ჰქონავს გუმბათს, კედლებს, კამარებს და სტოვათ დიდათ ხელოვნურია. მე არ მინახავს ამდენად მდიდრად მორთული ტაძარი. არც აღმოსავლეთს, არც დასავლეთს საქართველოში. როგორც ქართულის ყაიდის ყველა ტაძრები, ნიკორწმინდის პირი, გარდა კუწუბებისა, შესანიშნავია ხუროთმოძღვრების მხრითაც. ვიმეორებ, მე არსად მინახავს ამისთანა მდიდარი ჩუქურთმა, ამისთანა ხელოვნება და არც ცოტაოდნად ამის მგზავსი მაინც“.

ნიკორწმინდის ხელოვნების სიმშვენიერე შეუძლებელია კალმით გამოიხატოს. კაცმა თეითონ უნდა ნახოს-თავისი თვალით ეს დიდებული და განსაკვიფრებელი ხელოვნება, რომ იგრძნოს სრული სიამოვნება და სიტკბოება.

ტაძრის შიგნით კედლები სულ დახატულია, ხოლო ფამთა ვითარებისაგან ზოგი ჩამოფერდებილია, გაძვრუნილი, მაგ-

რამ ჯერ კიდევ იმდენად მჭაფიოდა სჩანს ყოველივე ნაკვთი მხატვრობისა, რომ თუ ღროჲედ მიეშველებიან, აღვილად შეიძლება ყოველივეს აღდგენა.

ნიკორწმინდის ტაძარში მრავალი ძვირფასი ხელთნაწერებია, ნაწილები და ნივთები. სხვათა შორის აქ ასვენია ნაწილი წმინდა ნიკოლოზისა—მთელი იდაყვი. ამაზედ ზეპირ-გადმოცემა ამპობს: ბაგრატ კურატპალატს შეურთავს ელლინთა მეფის მანუელის ასული ელენე და წმინდა ნაწილიც მზითვად მოჰყოლია საბერძნეთიდგანაო. აქვე მოვიხსენიებ ნიკორწმინდაში შენახულს რამდენსამე სიწმინდეს:

1) ხელის-ჯვარი ნაწილებით, შესანიშნავის ვერცხლის ჩუქურთმით შეკედილი და მარგალიტებით მორთული; აწერია: „პატიოსანი და ცხოველს მყოფელი ჯვარი ესე მეკუთვნის მე, ივერიის უდაბნოს წმინდა ქალაქის იერუსალიმის ბერმონაზონს ლავრენტის. ქუნი 1664“.

აქ არის კაცის სიმალლე ვერცხლის დიდი ჯვარი, ვერცხლით შეკედილი და ოქროთი მოვარაყებული, მინანქრიანი. ესეც მშვენიერი ხელოვნების არის და ზედ მრავალი წარწერა აქვს მხედრულად. ერთი წარწერა ამბობს, რომ ეს ჯვარი წმ. ნიკოლოზის შესწირეს დავით წულუკიძემ და მისმა მეუღლემ ფარსანგი ჯვარმა, ლაშეიშვილის ასულმაო. ჯვარი გაკეთებულია მე-XI საუკუნეში.

ამ რამდენისამე წლის წინეთ ვიღაც არხეოლოგებს სდომიათ ამ ჯვარის აქედგან წალება, მაგრამ სოფელს

არ დაუნებებია; ბრძანებაც მოუტანიათ, ჯვარი დაუყონებლივ გადაეცითო, მაგრამ ხალხს მაინც არ დაუნებებია: ჩვენს სიწმინდეს ვერ მოგცემთო და კინაღამ უსიამოვნებაც მოუხდენიათ...

2) ხელო-ნაწერი სახარება, ვერცხლით შეჭედილს ბუდეში, რომელზედაც გამოხატულია ოთხი მახარობელი, ლაზარეს ალდგინება, მარიამი, ანგელოსი და ქრისტეს საფლავი. წარწერა აქვს: „მე დავით წულუკიძემ შევსწორე სახარება ესე ტაძარსა. წმინდასა ნიკოლოზსა, ვინ გინდა გამოახვას, ანუ ეფისკოპოზთა, ანუ მღვდელ მონაზონთა, ანუ დიდებულთა რისხავამცა ღმერთი და ყოველნი წმინდანი ზეცისა და ქვეყანისანი. ჩვენთ ნაცვლადამც განიკითხვიან, ამინ. დაიწერა წმინდა ესე ოთხთავი ინდიქტიონსა მეფეთ მეფის გიორგის უამს და ქორონიკონს ს ა თ“. (=1581 წ.).

3) წმინდა ნაჟოლოზის სატი, სიმაღლით თითქმის ორი ალაბია და სიგანით ერთ ნახევარი; გარშემო აქვს ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის განიერი არშია, რომ მელზედაც სხვა-და-სხვა წმინდანებია გამოქანდაკებული. ზეპირ-გადმოცემა ამბობს, ამ არშიაში ჩასვენებული წმინდა ნიკოლოზის ძეელი ხატი წაუღიათო და მის მაგიერ ჩაუსვამთ ახალიო...

ლვთისმშობლის ხატი სიგძით ერთი ალაბია, სიგანით ნახევარზედ მეტი. მოჭედილია ოქროში დაფერილი ვერცხლით, წარწერა აქვს: „ჩვენ ლვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან გიორგი და ძემან ჩვენმან ლეონ მოვაჭე-

დინეთ ესე ყოვლად წმინდისა ხატი წარსამართებლად მეფობისა ჩვენისათვის, სადღეგრძელოდ ძისა ჩვენისა ლეონისათვის და საოხად სულისა ჩვენისათვის. ამინ“.

4) მაცხოვნის ხატი შემდეგის წარწერით: „ძემან კურთხეულისა ერისთავთ ერისთავის რატისმან ჭახაბერ შევპედე ხატი ესე ჯვარცმისა საოხად და სალხინებლად ცოდვეალისა სულისა ჩემის და სადღეგრძელოდ ძისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა რატისა“.

5) მოციქულთა და წმინდათა ცხოვრება. მიწერილია:

„მამო, მისთვის მიყვარხარ,

საიმედო ხარ გულისა,
ამა სოფელსა შეგელი,
მომხსნელი ხარ სულისა;
ნახეა მინდოდა თქვენი,
ნატვრად სამსახურისა;
თუ არ ვიყო ერთგული,
შემცოდეც ვარ რჯულისა“.

ტაძარში იმდენი ძვირფასი საუნჯეა, რომ შათ დაწვრილებით აღწერას მთელი ტომები მოუნდება, ჩვენ ამას არ შევუდგებით, არც დრო და მოცალება გვაქვს და ვერც ასწერს ჩემი სუსტი კალამი, ეს სპეციალისტების საქმეა, ჩემი სურვილი მხოლოდ ის არის, რაც შეიძლება მოკლედ გავაცნო მკითხველებს „გზა და გზა“ ჩემი ნახული და გაგონილი.

ვიმეორებთ, ვისაც უნდა დასტუბეს ამ ტაძრის მშვენიერებით, უნდა თავის თვალით ნახოს, და არც მიეტევ-

ბა ქართველს, არ ნახოს ეს შეირტასი და მართლა დიდებული ნაშთი; გზა კარგია და ახლო: ქუთაისიდგან ტყიბულამ-დე მივა რკინის გზით, რომელიც ძლიერ იაფია — ათ შაურამდინ ლირს მეორე კლასი, ტყიბულში მუდამ მრა-ვალია გასაქირავებელი ცხენები, ნიკორწმინდამდის ტყი-ბულიდგან არის სულ თხუთმეტი ვერსი, ცხენის ქირა-ერთი მანეთია, გზა მშვენიერი, ვაღმოდის ნაქერალაზედ, მდებარეობა ლამაზი და ათას გვარად აფერადებული; ბუ-ნებით შემკულ უკეთესს ადგილებს იშვიათად ნახავს კა-ცი თვით კეკლუცა და მდიდარ საქართველოს სხვა კუთხეშიაც-კი.

ლამე გავათიერ ნიკორწმინდის მღვდ. ფოფხაძესთან. ეკკლესიას არა აქვს სახლი მომსვლელთა და მლოცვავთა-თვის ლამის გასათევად. ნიკორწმინდას გარშემო მთა აკრავს და ხელობაც მოელი მრევლისა, როგორც ზევითა ვსტკვით, ხე-ტყის მზადება და სახლების შენებაა. მიუხედა-ვად ამისა სამრევლო სკოლაც-კი არ არის აქ, თუმცა მ. ფოფხაძე გვითხრა: „სამრევლო სკოლაც და მლოცვავთა-თვის ლამის გასათევი სახლიც ამ ცოტა ხანში უთუოდ გაკეთდებაო“. ღმერთმა ჰქნას, სიტყვა საქმედ იქცეს. უსკოლობა ამისთანა მდიდარს სოფელს არ შეეფერება და არც რიგია, სემინარიაში კურს დამთავრებულს მოძღვარს ერის სასწავლებელი სახლი არა ჰქონდეს.

მარიამობისთვის 15-ს ნიკორწმინდიდგან წავედით ახლო-მახლო მდებარე ადგილების დასათვარიელებლად ვნახეთ ერთი-მეორეზედ უკეთესი ადგილები და მივედით

მოზღიულ მდინარე შაორზედ, რომელიც დედაა და ბო-
ლოზი კალმახისა. ჩვენს სამშობლოში კალმახი ბევრგან
იცის, მაგრამ ამოდენა და ასე გემრიელი კი არსაჭ, ეს
ხალხსაც შეუმჩნეველი არ დარჩენია და სიმღერაში, სხვა-
თა შორის, ამბობენ:

თევზი ყვირილის სჯობია,
კალმახი შაორისაო,
ორაგულები თერგისა,
ზუთხი-კი რიონისაო.

ეს უშველებელი შაორის მდინარე, რომელიც ხუ-
თი-ექვსი საჟენის სიგანეზედ მოდის, უცებ იკარგება დე-
და-მიწაში, და სად მიდის და სად არა, მისი ასავალ-დასა-
ვალი არავინ იცის. მდინარე მოდის აღმოსავლეთით დასავ-
ლეთისაკენ გაჩქარებული, ერთს აღვილზედ მდორდება,
ტრიალებს და იკარგება, მერე იწყება ვაკე საყანეები,
გლორიაკები. გვითხრეს, შაორის წყალი საცა იკარგება, იმ
აღვილებიდგან ხუთის ვერსის მანძილზედ ხელ-ახლა ჩნდე-
ბა ჭელიშის მამათა მონასტრის ახლოვთ. დავბრუნდით
უკან, გამოვიარეთ ისევ ნიკორწმინდაზედ და გავემგზავ-
რეთ დასავლეთის მხრით ჭელიშის მონასტრებში, რომე-
ლიც ნიკორწმინდიდგან სულ ოთხი-ხუთი ვერსის მან-
ძილზედ მდებარეობს. გავიარეთ ორი ვერსის მანძილი,
შემდეგ დავეშვით ვიწრო გზით ფრიალო მთის თავდაღმარ-
თზედ, ეს ფრიალო დაღმართი სიგძით თითქმის ერთი
ვერსია; ჩავედით ძირს და ვნახეთ ერთი უშველებელი გა-
დმოხურული კლდე. ამ გადმოხურულ კლდის ქვეშ ორა-

სზედ მეტი ცხენოსანი თამამად დაეტევა და შეეფარება. სწორედ ამ კლდის ძირში ღრუდოდგან გამოჰქონდს უშველებელი მდინარე, რომელზედაც დაყოლებულია სამ-სამ და ოთხ-ოთხ დოლაბიანი წისქვილები. ამბობენ ეს წყალი შაორის მდინარეათ, რომელიც ნიკორწმინდის ზემო მიდამოებში იკარგება უკვალოდ. ამ წყლის სათავიდგან მონასტრიამდის ორი ვერსია, გზა ფართოა და მშვენიერი, მიდის სულ მდინარის პირად ორს მაღალ მთებშუა. ცოტაოდნად გზის ჩამოკლების შემდეგ, სამხრეთის მხრივ მთის ძირიდგან გამოჰქონდს მდინარე „ბინული-წყალი“, ცივი ისეთი, როგორც ყინული, და უერთდება ჭელიშის მდინარეს. ჭელიშის მდინარე სავსეა კალმახით.

მივედით მონასტერში, ჯერ წირვა გამოსული არ იყო. ჭელიშის მონასტერი ღვთისემშობლის სახელობაზედ არის აგებული და ამ ღღეს მონასტრის ღღეობა იყო „მარიობა“. ხალხი ბლომად მისულიყო ახლო-მახლო სოფლებიდგან. მწირველი ბრძანდებოდა ყაზანის აკადემიაში სწავლა-დამთავრებული და ღღეს წინამძღვარი ამ მონასტრისა არქიმანდრიტი ამბროსი (მღვდელობაში ხელაია) თავის კრებულით. წირვის შემდეგ მამა ამბროსიმ წარმოსთქვა გრძნობით საფსე ქადაგება, რომლის გაგონება-მაც მრავალ მლოცვას სიხარულის ცრემლი მოჰვევარა.

მამა ამბროსი სულ წელიწადი არ არის, რაც აქ წინამძღვრად გამოამწესეს, მაგრამ ღვთისა და ხალხის მოყვარე ადამიანისთვის ეს მოკლე დროც საკმაო ყოფილა, რომ წრფელის გულით შეეყვარებია ხალხს. ამისთანას შესახებ თქმულა:

„რა კარგია კარგი კაცი,
კარგს საქმეზედ აგებული,
ქვეყანა ჰყავს მაღლიერი,
სწორის გულით მოგებული“.

ახლო-მახლო სოფელში ჩეენ იმისთანა კაცს არ შე-
ვხვედრივართ, რომელიც წრფელის გულით არ იყოს გა-
მსჭვალული მამა ამბროსისადმი ლრმა პატივის ცემით და
სიყვარულით.

—როგორია, ძმობილო, თქვენის უდაბნოს ახალი
წინამძღვარი? ვკითხავდით სოფლელებს.

—ღმერთმან კარგი დაგმართოს, კარგი რამა გუყავს მამა
ამბროსი; რომ იტყვიან, ღვთის ენა-პარი ასხიაო, სწო-
რედ ის არის. აგრე ამ ხნის კაცი გახლავართ და ჯერ
მაგისთანა არავინ მოსულა და არც შაგ დალოცვილისთანა
ქადაგება გაგვიგონიაო.

ჰელიშის უდაბნოს გარეგანი შეხედულობა და მისი
მდებარეობა ცხადად დაგარწმუნებსთ, რომ ჩვენ გვყოლია
ნამდვილი ღვთის მოსავი და ხალხის მოყვარე მამები, რო-
მელთაც კარგად სცოდნიათ ღვთის სამლოცველოდ და
ერისათვის სამოლვაწეოდ როგორი ალაგია საჭირო. ჰე-
ლიშის მონასტერი შემოკრულია უშველებელის მაღალის
მთებით, არც გზა აქვა ახლოს და არც კვალი; ძნე-
ლად მიუდგება, კაცი მას თუ გულ-და-გულ იქ არ შიდის.
ამ უტეხ და მიუდგომელ მთებშუა, როგორც ჩაშუქებუ-
ლი ნათელი, სდგას ობლად პატარა მონასტერი. ჰელი-
შისა, გალავან შემოზღუდული ქვიტკირის კედლით და ამ
მონასტერში მავედრებელ ძმათა სახლებით.

მონასტრის გალავან გარედ მრავალი დიდრონი ნი-
გვზის ხეებია, პატარა ვაკეზე საცა ბოსტნეულობა ითესე-
ბა, დიდი აუზია კალმახებისათვის. მამა ამბროსიმ გვით-
ხრა; „მონასტერს ზოგი ფრიად ძვირფასი ეტრატის ხელ-
ნაწერები აქვს შესანიშნავის ზედ-წარწერებით, მაგრამ
დაეხიათ ზოგი მათგანი ვიღაც უვიცებს და წყლის
ჰურჭლის თავ დასაცობად თურმე ჰემარობდნენო.“

როგორც უმეტეს ნაწილს ჩვენს უდაბნო-მონასტრე-
ბში, ისე ჭელიშშიაც არ არის ჯერ ჯერობით რიგიანად
მოწყობილი ქართულის გალობას საქმე, თუმცა აქ,
ათამდე ბერია შევრდომილი; ეს მით უფრო სამწუ-
ხაროა, რომ მთელი რაჭა ამ მხრივ ძრიელ ჩა-
მორჩენია საქართველოს უკელა კუთხეებს. იმისთა-
ნა ადამინის გასვენებაზედაც-კი, როგორც იყო ანა კვი-
ტაშვილისა, მგალობლები ვერ ეშოვნათ და ვიღაც უვიცი
ბავ შვები მოეცვანათ მგალობლელოდ, ადამიანს რომ მა-
თი ჭყრიალისათვის ყური დაგეგდო, სული და გული
აემლვრეოდა და ყოველი სასოება დაეკარგებოდა. იმის-
თანა დიდებულ ტაძარშაც-კი, როგორიც არის ნიკორ-წმინ-
დის ტაძარი, მგალობელთა გუნდი არ არის და მხოლოდ-
ერთად-ერთი დიაკონი კიკინობს.

წმირად ვკითხულობთ ხოლმე: „იმისთანა მორწმუნე
ერში, როგორიც იყო დასაბამითვე ქართველები, რამ
დასცა ასე ძლიერად საჩუმუნოებაო?“

ჩვენის აზრით ჩვენს ხალხში სარწმუნოება შეასუსტა
იმან, რომ „ახალ-ახალ“ მღვდლებისაგან აღარ ისმის

აღარც ცოცხალი სიტყვა, აღარც ქადაგება, აღარც გა-
ლობა და აღარც დარიგება. ჭიმეორებთ, ესა გვგონია
ჩვენს ხალხში სარწმუნოების განელებისა, და შესუსტების
მიზეზად.

დარწმუნებული ვართ, ჭელიშის მონასტერში მამა
ამბროსის მეცადინეობით მალე ეშველება ამ სატკივარს
და ეს დიდი ნაკლი, დღეს თუ ხვალ, გასწორდება, მაგ-
რამ ასე იქნება რაჭის დანარჩენ ეკკლესიებშიაც?

რაჭის ახლა სამოცს მღვდელზედ მეტი ჰყავს სემი-
ნარიაში სწავლა დამთავრებული, მაგრამ თვალ საჩინო
საქმე ამოდენა განათლაბულ მღვდლებისაგან-კი არა სჩანს-
რა. ეგების მე, გზა-და-გზა მეთვალყურემ, ვერ შევამჩნიე
მათი საზოგადო ნაღვაწი, ან მშვენიერი მწყობრი გალო-
ბა ეკკლესიაში. ძალიან დაგვავალებდა რაჭის რომელიმე
მოძღვარი, თუ მიგვითითებდა ამისთანა რამ მათ მიერ
საერთო ნამოლვაწევზედ, საზოგადო რამ მათ მიერ დაწე-
სებულობაზედ.

ამოდენა განათლებულ მღვდლებს იშვიათად აქვთ,
რაჭის სამრევლო სკოლებიც კი!

ძველად ჩვენი მონასტრები გვაძლედნენ მწიგნობ-
რებს, მქადაგებლებს, მგალობლებს და საერთ მუშაკებს..
მრავალი მონასტერი გვიზრდიდა და გვიწვრთნიდა მოზარდ
თაობას, რომელსაც მტკიცედ უნერგავდა სარწმუნოებას,
რჯულის, ენის და მამულის სიყვარულს.

გამიგონია მომსწრეებისაგან და მეც ოდნავ მახსოვს
ის დრო, როგორც სამღვდელოდ გამზადებულს დიაკონს

ისე არ აკურთხებდნენ მღვლდლად, თუ ერთი ან ორი წელიწადი რომელსამე გამოჩენილ მამათა მონასტერში არ წავიდოდა გასაწრთვნელად და არ შეისწავლიდა სამაგალითო წირვა-ლოცვის წესი, ქადაგებას და მთელის ოთხი წირვის წესის გალობას.

ახლა ეს აღარ არის. დღეს სულ სხვანიავმა დაჭვროლა, დღეს მღვდლობის მიღებისათვის გამზადებულს საჭიროდ აღარ მიაჩნია ზედ მიწევნით იცოდეს თავისი ღვიძლი ქართული ენა საჭადაგებლად იმ ხალხისა და ერისათვის, სატაც იგი მღვდლად მიდის. აგრეთვე არა სთვლის სრულიად საჭიროდ ქართულის გალობის ზედ მიწევნით შესწავლას.

დიალ! ამ გვარ სამშობლო ნიადაგიდგან ფეხის ასხლეტას ის მოჰყვა, რომ ეკულესიაში მოსიარულე ხალხის რიცხვი თან და თან შესამჩნევად მცირდება, მღვდლების პატივის-ცემაზედ მრევლი თითქმის გულს იყრის, სარწმუნოების, ენის და ეროვნების გრძნობანი ქვეყანას უქვეითდება და უქრება.

ყველა ამას კიდევ ის მოჰყვა, რომ გაშრავლდა ერთმანეთის მტრობა და მოტყუება, ქურდობა და ავკაცია, კაცის კვლა და ძარცვა, ცრუ ფიცი და ლეთის გმობა, ეკულესიების კრეხვა და ხალხის ზნეობრიერი გახრწნა.

IV

რაჭაშორის ვერ შეხვდებით იმისთანა „ლოთი-ფოთ კნიაზ-აზნაურთა“ ტიპს, რომელიც ჩვენ საქართველოში

ახალშა ცხოვრებამ უხვად წარმოშობა და, ჩვენდა სამწუ-
ხაროდ, ამ გვარის ტიპებით მოფენილია ჩვენი სამშობლოს
ყოველი კუთხე; ამისთანაებს არავითარი მიზანი ცხოვრე-
ბაში არა აქვთ, გარდა იმასა, რომ ერთი მეორეს ეჯიბრება
თავიანთი მამა-პაპათა დატოვებულ ადგილ-მამულის გაფ-
ლანგვა-აოხრებაში და სულ იმის ფიქრსა და ცდაში არიან,
სად დააგირაონ ადგილ-მამული და სახლ-კარი, სად უფ-
რო ზედ-მეტად გადააგირაონ დაგირავებული, ან როგორ-
მე წვრილ-წვრილად ან მთლიანად გაჰყიდონ, თავიდ-
გან მოიცილონ, დანთქან და მორჩნენ!

რაც შეეხება მამულის გაყიდვას, მათვის სულ ერ-
თია, ვისაც უნდა მიჰყიდონ: თათარს, სომებს, ურიას,
ლექს თუ სხვა გადამთიელს! მათვის არავითარი განსხვა
ვავება არ არის, ოღონდაც-კი ცოტა ზედ-მეტი ფული
აილონ და თუნდა თავის სამშობლო უცხო გადამთიელი
თესლით მოჰყინონ და მათით დაასახლონ!..

ეს თავიანთი ოჯახის და სამშობლოს მოღალატენი, ბან-
ქოს თამაშში, ბალებსა და სასტუმრო-სამიკიტნოებში აგებენ
და ნთქავენ მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით მონაგარ მამუ-
ლებს, ლვინო-არაყით გაუღენთილები თავ-მომწონეთ ჰავი-
რიან: „გაუმარჯოს, გაუმარჯოს საქართველოს!“ „გაუ-
მარჯოს სამშობლოს!“ და შემოსძახდენ:

„ოდელია, დელია, დელია!

საქართველო ჩვენია, ჩვენია!“

ჩვენი ერის საყვარელმა მგოსანმა აკაკიმ ამ ჯურის
უკულმართი ახალ-თაობა ერთ თავის ლექსში მკაფიოდ
დაახასიათა. მოვიყვან ზოგიერთს:

„რაც შეჰქონის მამული შვილს,
ვასრულებ მეც ყველა თერსა,
ხრინწიანის ხმით ვიმღერი
დაშპალ მრავლ-ეა მიერსა.

მე არა თერს არ ვმუშაობ,
გაგრამ სხვებსაც არ ვაძალებ,
რაც რომ მერგო მამა-პაპის,
ნელა-ნელა „ვაპრადალებ“!..

და ფულს ვხარჯავ „კნიაზურად“,
ისე, როგორც ჩალა-ბზესა,
მამის სული გაშიშვია,
ვფიცავ მამინაცვლის მზესა!..

რაჭა, ჩვენდა სანუგეშოდ, ღმერთს დაუფარავს ამ
გვარის მოტანტალე და მოქეიფე უსაქმური ხალხისაგან...
რაჭა,— მუშაა, შრომის მოყვარეა, აქ თავადი, აზნა-
ური და გლეხი ყველა მუშაობს, ყველა გაფაციცებით
შრომობს; კაცი, ქალი, დიდი და პატარა—ყველა თავის
განსაძლევრულ სამუშავარს ადგია და მიიწევს წინ. აქ უსაქ-
მური ადამიანი, ვინც უნდა იყოს, მდიდარი თუ ღარიბი,
გლეხი, გინდა აზნაური, ათვალწუნებულია და მუდამ
ყველასაგან საკიცხავი. რაჭას აწერია: მუშაობა! და
შრომა, შრომა, და მუშაობა.

მე დავირე თითქმის მთელი რაჭა და მცირე ნაწი-

ლი ლექსუმის შაზრისა. ლექსუმი და რაჭა თითქმის არა-
ფრით არ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან.

აღგილ-მდებარეობა ორივესი შწვანით შებურვილი,
მთა-კორიანებია, ბუნების სიკეკლუცე აქ ყველგან გან-
საცვიფრებელია და კალმით აუწერელი. მიღიხართ წინ და
სულ ახალ-ახალი, ერთი მეორეზედ უკეთესი ბუნების
სიმჟვენიერე გეშლებათ თვალ წინ; უკეშერით ბუნების
ათას გვარად აფერადებულს დიად სურათებს და აღტა-
ცებასა და სიამოვნებაში შთანთქმული ამ ქვეყნიერობა-
ზედ აღარა გრძნობთ თავს.

აქ, ამ შშვენიერ და კეკლუც ბუნების მუხოვრებთა
შორის, თქვენ შეხვედებით წმინდა ქართველურ გულ-
უხვობას, პურ-მარილს, პატივცემას და თავაზიანობას.

აქ ქართული უნა უკედ არის შენახული, მეტადრე
ზემო რაჭის ზოგიერთ სოფლებში ლიტერატურულის
ენით საუბრობენ. აქაურობაზედ თამამად ითქმის:

„იგივ მხნე, იგივ მლერალი,
მოყვარე თავის მიწისა“

რაჭა უფრო მართალი ხალხია და ზნეობა-მაღალი.
აქ ჯერ ვერ შემოუტანებია იმ გახრწნილ განათლების
ლექს, რომელსაც „ავილე და ველარ მოგეცი“ ჰქვია და
რომელიც მხოლოდ გაცვეთილ ხერხზედ და ხრიკზედ
არის დამყარებული და თუ რამე მოგიხერხა, ყოვლად
უსინანულოდ „დედა-ბუდიანა“ ცარიელზედ დაგსვამს და
მუდამ ასე ლილინობს:

რაც ჩემია, ჩემია,—

რაც შენია, ჩემია...

რაჭაში ყოველი აღებ-მიცემობა, ფულის აღებ-გა-
სესხება, ადგილების ყიდვა-გაყიდვა და სხვა მაგვარი, ჯერ
აქნობამდე სვინიდისზედ და ნდობაზედ არის დამყარებუ-
ლი. აქ ყოველიფერი კეთდება უმეტეს ნაწილად უნო-
ტარიუსოდ და ომ ვინმემ პირის გატეხა გაბედოს, მას
სოფელი არ აპატივებს; ამგვარი „პირ-შავები“ აშკარაზედ
გამოჰყავთ, სოფელი ჰგმობს, ჰკიცხავს და საქვეყნოდ, არც-
ხვენს.

რაჭის დედა-კაცი ნამდვილი ერთ-ხორცი. და ნამდ-
ვილი მეუღლეა თავის ქმრისა და, როგორც კრუხი წე-
წილებისათვის, ისეთი მომვლელი და მოამაგეა თავის
ოჯახისა. იგი არა თუ საოჯახო ქალის საქმეებს აკეთებს,
არამედ მძიმე სამუშავარშიაც გვერდში უდგია მამა-კაცს.
ჩამოვთვლი აქაურ დედა-კაცის ზოვიერთ სამუშაოს:

დედა-კაცი დგება და იწყებს მუშაობას ალიონზედ;
გათენებამდის უვლის ოჯახის ყოველ წვლილსა და დარგს.
ხშირად მიდის და ზურგით მოაქვს შეშა, ამზადებს იჯრას
(საღილ-ვახშამს), მიაქვს ჯერი მომუშავე მამაკაცებისთვის,
მიდის წისქვილში, მიაქს საფქვავი, უფრო მეტ შემთხვევა-
ში ზურგით. აკეთებს ბოსტანს, ეხმარება მამაკაცს სა-
მარგელში, ჰკრეფს ლობიოს და სხვა ფეხის მოხავალს და
ყოველივე ეს მიაქს შინ. ლეწავს და ანიავებს ჰურს, ქერს;
სტეხს სიმინდს, მკის და ჰკონავს ჩალას, ღომს, ფეტვს;
ახვევს და მორჩავს (უუჩქნის) ვენახს, ჰკრეფს ყურძენს,
უვლის შინაურ პირუტყვს, ამზადებს ნართს და ჰკსოვს
სამოსელს (ხამს), შალეულობას და ჰკერავს ოჯახისათვის

ყოველსავე ტანისამოსს. რომელსაც ემხრობა, მიღის ბაზარში, ჰყიდის სოფლის ნაწარმოებს და ყიდულობს ოჯახისთვის საჭირო შეშუდს და სხვა და სხვა.

რასაკვირველია, აქ ჩამოთვლა ძნელი და შეუძლებელია უველა იმ ჯაფა-შრომისა, რომელსაც რაჭის გლეხი დედაკაცობა, თვის და სასახელოდ, თავ-დაუზოგველად ეწევა.

რაჭაში მუშათა შეწევა, „ნაღი“ ხშირია, ერთი მეორის მიხმარება ჩვეულებად არის გადაჭცეული მამათა და დედათა სქესში. სული უხარის ადამიანს, როცა ხედავს ჯარად ჩამწკრივებულ მუშას გაცხარებულს მუშაობაში და თან მშვენიერ მწყობრივ საერთო გუგუნს „ნაღურს“ ან სხვა მრავალ გვარს სიმღერას, ათასნაირი გამამხნევებელ ლექსებ ჩაქსოვილს.

„ვისაც რა უნდა უყვარდეს,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:
მიყვარს პირ წმინდა ნამგალი...
მასი ყანაში ტრიალი...“

—
თავი მოუკვდეს ზოგიერთს,
რომ იტაცებენ სხვისასა,
საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან,
ურცხვად ივსებენ ქისასა.

—
ქორი ვარ, სხვას რომ მოვსტაცო?
რაღ გავიშავო პირი მე!

გარს შემოვევლე სახენელსა,
ჩემი სახნისის ჭირიმე.

რად დავიბნელო სიხარბით
სამიწე წუთის თვალები?
ხერხსა, ხელების, სატეხსა,
ნაჯახს, ცულს ვენაცვალები”.

ამ ჩვენ დაქვეითებულ დროს რაჭაში ვერ შეხვდებით თავად-აზნაურთა იმგვარ გარეწარ მოცუნდრუკე ქალებს, რომელთაც ლაციცობაში ტოლი არა ჰყავთ და დილის ათ-თერთმეტ საათამდის საბნიდგან ფეხ-გამოუყოფელნი ერთგულად სტკეპნიან ლოგინს და მხოლოდ თავის გულის ფხანვაზედ გადაყოლილებს.

ქვეყანა და ქვეყნის სზემე
კაბის კუდებზედ ჰკიდიათ.

ამგვარის გადაუკულმართებული, თავ-აშვებული და ცხოვრებაში სრულიად გამოუსადევგარ ახალ „მოღნის“ ქალებისგან ღმერთს დაუფარავს მშვენიერი, ბუნებით შემკული რაჭა, თუმცა, უნდა გამოტეხილი ვსქვათ, ჩვენი ვაკე იმერეთი და აღმოსავლეთი საჭართვეულო „ახალმა დრომ“ უხვად დააჯილდოვა ამ გადაგვარებულებით.

არა თუ ოჯახის არა ესმით-რა ამგვარ „გაბარიშნებულ-გამაღამ-კნეინებულთ“, ერთხელ ისიც არ უნახავთ, მართლა ისე თენდება, როგორც წიგნში აქვთ წაკითხული და, მართლა, მზე აღმოსავლეთიდგან ამოღის, თუ სამხრეთ-საშუალებელდგან? და ან პური ისე გამომცხვარი

იბადება და ამოღის დედამიწიდგან, თუ მას დათესვა, შობყა, გალეწვა, დაფქვა და გამოცხობა უნდა?

სამშობლოზედ და ერთობაზედ ამგვარები იმდენად ზრუნავენ, რამდენადაც მე ჩინეთისათვის. მაგრამ ეს რა ვსთქვე? ჩინეთისათვის მე უფრო ათასჯერ სასარგებლო ვარ, ვინემ ეს „ქალბატონები“ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. და აი, რათა: მე ჩინეთს არ ჰყიცხავ, მის ენას ზიზღით არ ვუყურებ და არ ვსდევნი და ეს „ქალბატონები“-კი ორიოდე წლით სასწავლებელში ყოფნის და უაზრო უმიზნო წრეებში ხეტიალის შემდეგ, არა თუ ივიწყებენ და ამახინჯებენ სამშობლო ენას,— სდევნიან კიდევაც და დაცინვითა და ზიზღით იხსენიებენ, და ეს მიტომ, რომ ეროვნული თავ-მოყეარეობა გამქრალი აქვსთ და მხოლოდ უტიფრობას მოუკავს მათი არსება.

ეს უკუღმართი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში მით უფრო სამწუხაროა, რომ უცხოეთში, სადაც ქართველი ადამიანის ნატამალიც არ არის, იქ, ხშირად, სხვის დაუხმორებლად სწავლობენ ჩვენს ენას, როგორც მაგალითად, მშეენიერად შეისწავლა ქართული ენა ინგლისელმა ახალგაზდა ქალმა, მარჯორი ვორდოროპშა და აქ-კი, საქართველოში, ზოგიერთ ქართველ ოჯახში წამლადაც ვერ გაიგონებთ ქართულ სიტყვას, მეტადრე ქალაქ აღგილებში და თუ გაიგონებ, იმასაც ვაცვეიაილს და დამახინჯებულს.

რომ შენიშნოთ ეს უკადრისი საქციელი და ან უსაყვედუროთ, ტუჩების აპრეხით და ხელის ჩაქნევით გეტ-ყვის უტიფრად: „ოჩენ ნუშნაო“ და ზოგი-კი უსიამოვნო

გადმოხედვით წარბ-შეუხრელად გიპასუხებთ: „ჩვენტვის
კარტული არ უსწავლებიათო“.

დალოცუილო, თუკი ინგლისში ინგლისელმა ქალ-
მა თავისით შეისწავლა ზედ მიწევნით და საფუძვლიანად
ქართული ენა, ძველი და ახალი ქართული ლიტერა-
ტურა, თქვენ, საქართველოში, ქართველმა ოჯახის შვი-
ლებმა ქართული ვერ შეისწავლეთ იმდენად მაინც, რომ
ქართველთა შორის ქართულად ისაუბროთ?! მაგრამ ეს
სულ მეტიჩრობის ბრალია და გადაგვარების სურვილისა...
ი, რას ამბობს ამისთანების შესახებ მგოსანი:

„კრულ იყოს მისი სახელი,

ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!

თვის ტომის დამწუნებელია

ჭირი მიღუდა კარზედა.

„გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ლირსება
ყოველგან დაჩაგრულია!

„კრულია მისი ხსენება,
ვინც დაპგმობს დედა ენასა,
თვის ტომს ლალატობს და მითი
აპირობს მაღლა ფრენასა“!..

ძველად საქართველოში თავად-აზნაურთა ოჯახს ეჭი-
რა პირველი მეოჯახობის დროშა. ამ ოჯახს განაგებდნენ

თავად-აზნაურთა დედანი, მეუღლენი და ასულნი, წინეთ
თავად-აზნაურთა შანდილოსანნი არ თაკილობდენ
ოჯახში შრომას და მუშაობას, პირ იქით, სასახელოდაც
მიაჩნდათ და ყველგან საქები და საღიღებელი იყო კა-
რგი მეოჯახე დედა-კაცობა.

ჩვენი დედები მოყვარულნი იყვნენ უმეტესად თა-
ვის ოჯახისა, ქმრისა, შვილებისა და ქვეყნისა, იგინი
უზრდიდნენ მამულს საუკეთესო შვილებს და ძუძუსთან
ერთად აწოვებდნენ ენის, მამულისა და მოძმეთა სიყვა-
რულს.

„ჰე, ქართვლის დედავ! ძუძუ ქართლისა!

უწინ მამულსა უზრდიდი შვილსა“...

იმათ ძალიან კარგად ჰქონდათ დაყენებული ოჯა-
ხში მწიგნობრობის საქმეც. მებალეობა, მებოსტნეობა,
ეჯაბრეშუმობა, მეფუტკრეობა და სხვა, იცოდნენ შესა-
ნიშნავი. ხელსაქმე, ჭრა-კერვა, ქსოვა, ქარგვა, შინაურ
ოთხფეხის და ფრინველთა მოშენება და სხვა-და-სხვა.

ღლესაც მოსჩანს ლამპარივით აქა-იქა ნაშთი იმ მა-
ღალ ზნეობიანი, ოჯახისათვის თავ-დადებული ძველი
დედებისა. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში,
კახეთს, სოფელ ბაკურ-ციხეში, დიდად განთქმული სა-
მაგალითო მეოჯახე, თავად ანდრონიკაშვილის მეუღლე
ნინო, ამ უამაღ ლრმად მოხუცებული, მაგრამ კიდევ მა-
ღლა მჟერელი დიდებული მეოჯახეობის დროშასა. მისგან
მე თვითონ გამიგონია: „ჩემს სიცოცხლეში ჩემთვის ჩიტ-
ხაც არ აუსწვრიაო“. რაქაში, ჩვენდა სასიამოვნოდ და

აქაურთა სასახელოდ, ამ გვარი ძველი დევების მზაგვის
შეოჯახეობის ღროშა უჭირავს დღესაც რაჭის მომატებულ
ნაწილ თავად-აზნაურთა მანდილოსნებისას. აქ იშვიათად
შეხვდებით თავად-აზნაურთა იმისთანა მანდილოსნებს,
რომელნიც დილის ოთხს საათს ფეხზედ არ იღვნენ.
ესენი მოჯამავირეებს აყენებენ თავ-თავის საქმეზედ, უვ-
ლიან შინაურ ფრინველებს, ოთხფეხს და კარმიდამოს.

ამ გვარად, რაჭელი ქალი დილიდგან საღამომდე
შებმულია საოჯახო საქმეში. მე აქ ბევრს დიასახლისზე
რავიგონე ასეთი სიტყვები:

— მამა ნუ წამიწყდება, იმისთანა დედაკაცია, ასი
ცხენოსანი რომ მოულოდნელად ეწვიოს, წარბს არ შე-
იხრის და ისე დაუხვდება და გაუმასპინძლდება, რომ გე-
გონებათ, ერთის თვით ადრე სამზადისს შესდგომიაო.

დიალ, აქ ყველას სასახელოდ მიაჩნია ფხიზელი და
დაუცხრომელი შრომა, ოჯახის მოვლა.

აღამიანმა უნდა თავის თვალით ნახოს რაჭის თავად-
აზნაურთა მანდილოსნების ოჯახურ საქმეზედ კაბა-ჩაკე-
ცილი, ცეცხლივით მიმოქროლვა და ვაჟ-კაცური მუშა-
ობა, რომ საიმედო მომავალი თვალ-წინ დაეხატოს და
ამ მშრომელ აღამიანებისადმი სიყვარულითა და პატივ-
ცემით გული აღევსოს. მათი დაუცხრომელი შრომა-გარ-
ჯა მაგონებს მგოსნის სიტყვებს:

„თუმცა არ იცხებ ფერ-უმარილსა,
არც იხუჭუჭებ შენ კეკლუცად თმას,
მაგრამ მიღიდებ მაინც სიყვარულს
და აორკეცებ ამ ჩემ გულის თქმას!

„მისთვის მიყვარხარ, რომ შენ ხარ ქალი,
კეშმარიტების გრძნობით აღვსილი;
რომ აასრულე მშობლობის ვალი
და გამოზარდე მამულის შვილი...“

„რომ ნანინაში შენს პატარა შვილს
არ უმღეროდი მრუდე მაღლობას
და სიყრმიდგანვე იმ უმანკო ჩვილს
შით არ აჩვევდი რამ საძაგლობას.“

ეტყოდი — „თუმც ხარ შენ ჩემი შვილი,
მაგრამ ეკუთვნი უმალ სამშობლოს,
შენ-კი მიიღე ღირსი სიკვდილი
და დედა შენმა დევ იობლოს!“

„წვრთნიდი რა შენ შვილს აი ამ გვარად,
კეშმარიტების გზა მოუპოვე
და სიყვარული მამულის მარად
დედის რძესთანა თან შეაწოვე.“

V

საქართველოს ზოგიერთს კუთხეში ის აზრია გაყრცელ
ლებული გლეხთა შორის, რომ ვინც-კი თავადია ან აზნა-
ური და ამ ღირსებით იწერება ქალალდებში, ის ცუდ
კაცი და გლეხ-კაცობის შემწუხებელი. ამიტომ გლეხი

კაცი ჟველგან და უოველთვის უნდა ეწინააღმდეგოს და არავითარი მეგობრობა გლეხობას იმასთან არ უნდა ჰქონდეს.

გლეხ-კაცობაში ამ გვარ აზრების გავრცელებამ თვალ-საჩინოდ ავნო სოფელს საზოგადოდ და გლეხობას კერძოდ.

რაჭაში ამ გვარი ყალბი აზრი არ ტრიალებს. აქა-ურებს კარგად ესმით ის შეურყეველი ჭეშმარიტება, რომ უინც კარგია, კარგია, სულ ერთია თავადია, აზნაური, თუ გლეხი, და ვინც ცუდია და ავაზაკი, ის გლახაა, გლეხი იქნება, აზნაური თუ თავადი.

აქ ზოგიერთს ის ჭეშმარიტებაც შეგნებული იქვთ, რომ პატარა ერს დაყოფა, დანაწილება და დაჭუცმაცება-კი არ გააძლიერებს, არამედ დაპლუპავს, გაანადგურებს და აღგვის დედამიწის პირიდგან.

მართლაც, აიღეთ თვით საქართველოს ისტორია, ჩაუკვირდით კარგად და დარწმუნდებით, რომ როცა საქარ-თველო შეერთებული იყო და წარმოადგინდა ერთს ძა-ლას და ერთს ღონეს, მას ოცჯერ მეტი მოსეული მტე-რიც ვერას აკლებდა, მტკიცედ და შეურყევლად ინახავ-და ქართველობა თავის მამულს, რჯულს, ენას და ეროვ-ნებას.

როცა უკანასკნელმა მეფეებმა გაიწი-გამოიწიეს, კახე-ში ერთმა ირგუნა, ქართლი მეორემ და იმერეთი მესამემ— შეს აქეთ თავისუფლებაც დაპკარგეს და დაპკარგეს უოვე-შითერი ის, რაც ორიათასს წელზედ მეტს ხანს დაი-შვი ვაჟკაცმა ქართველობამ...

განცალკევების ბრალი იყო, მთელი ბორჩალოს მაზ-
რის ქართველ ტომთაგან დაცარიელება და არა ქართველ-
თა მოყვარული თესლით იქაურ ადგილ-მამულზედ დასა-
ხლება.

განცალკევების ბრალი იყო, მთელი სამცხე-საათაბა-
გოს ქართველების გათათრება და მათი დაკარგვა.

განცალკევების ნაყოფი იყო მთელის აჭარა-ქობულე-
თის გაშავმადიანება და დაღუპვა, და ვინ მოსთვლის, რამ-
დენი უბედური ვნება მიუყენებია საქართველოსათვის-
განცალკევებას და ერთი მეორის დაუსრულებელს უთან-
ხშოებას, ქიშპობას და მტრობას.

განცალკევებამ და დაქუცმაცებამ მიგვიყვანა იმ
უკიდურესს უბედურებამდე, რომ ჩვენს თავს ველარა
ვსცნობთ და ჩვენის დღევანდელის მდგომარეობისა და
ავ-კარგიანობისა ალარა გაგვგებარა; ერთმანეთში კავშირ-
გაწვეტილნი, მკიცხავნი ერთი-მეორისა, თავში დაკრულ-
დარეტიანებულებივით, აზრ-არეულები ერთმანერთის წი-
ნაალმდეგ მივექანებით, ზოგი წინ, ზოგი უკან და ზოგიც
არდიგარდმო. თუმცა პოეტი-კი ამბობს:

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,

მტრებისთვის სახრჩობელაო,

მტრებს-ვაი დედა ვაძახოთ

და ჩვენ ვსთქვათ: დელა დელაო“ და სხ.

დაუგდოთ ყური რაჭასაც და მოვისმინოთ მისი აზრი.

კვირა დღეა, ხალხი მოცლილია და წირვაზედ თავ-
მოყრილი. ჩვენც საყდრისკენ გავეშურეთ.

საყდარი გალავნით შემოზღუდულია, გალავანს შიგ-ნით ერთი მაღალი და შტოებ-განიერად გადაშლილი ცაცხვი დგას. ცაცხვ ქვეშ დიდი ლოდი დევს, სიგძით თითქმის სამი ადლი.

წირვის შემდეგ ხალხი ამ ცაცხვს ქვეშ მოგროვდა. აქვე იყვნენ რამდენიმე თავად-აზნაურნი და სააგარაკოდ მოსულნიც.

გააბეს ბაასი სხვა-და-სხვა საგნებზედ. საუბარში გლე-ხობამაც მიიღო მონაწილეობა.

ილაპარაკეს სამეგრელოსა და მის სამრევლო სკოლებ-ზედ. ყველა ერთხმად ამტკიცებდა, სამეგრელოს ენა არის ძირითადი ქართული, სალიტერატურო, საერთო დედა-ენაო.

— მეგრელებიო — სთქვა ერთმა, — ქველათაც ფხიზე-ლი მეთვალყურე გუშაგები იყვნენ თავის საერთო ქარ-თულ დედა ენისაო და სამარადისოდაც საერთო ქართუ-ლი დედა-ენის ერთგულნი დარჩებიანო.

— ბატონო, მე მოვახსენებთ, როგორ მღეროდნენ ქველად მეგრელები და, დარწუმნებულნი ვართ, შემდეგაც ასე იმღერებენო, სთქვა მეორემ და წარმოსთქვა:

«მეგრელის ადსარება»

„ჩემი ენაც ქართულია,
ღვთის რჯულთანა შენაერთი,
მისთვის მიყვარს, მიყვარს, მიყვარს,
ისე მიყვარს, როგორც ღმერთი.

დედა-ჩემმა ძუძუთ მზარდა
და ამ ენამ — უფლის რჯულთან,
მისთვის არის ასე ტკბილად
შენათესი ამ ჩემს გულთან.

„სიყრმიდგან ვართ ორივ ერთად
შეხორცებულ, შენაზარდი,
ვის რად გიკვირთ არ მიმაჩნდეს
ქვეყნად რამე ამის ფარდი?

„ერთ დღეს ამით არ მაუბნო,
პირზედ ხელი დამაფარო,
ამას მიჯობს მომკლა-დამფლა,
გულზედ მიწა დამაყარო!

„მამა, პაპა, პიპის-პაპა,
მათი მამის ძველთა ძველი,
ღმერთს ამ ენით ადიდებდენ,
მითივე მწირველ მლოცველი.

„ნინო. ამით ქადაგებდა,
თვით ანდრია მოციქული
ხალხს ამ ენით არიგებდა,
მით გადმომცა ქრისტეს რჯული.

„მეც ეს ენა რომ მიყვარდეს,
უფლება მაქვს, ვიცი, სრული,
ჰეცისაგან მოცემული
მაშინ, როცა მომცა სული.

„ჩემი ენა,ძირი ენა,
ღვთის რჯულთანა შენაერთი,
ქართულია, მიყვერს, რავჭნა,
მიყვარს ისე, როგორც ლმერთი“.

შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი გურიაზედ, იქ მომხდარ
ამბებზედ, ამანაც დიდი ლაპარაკი გამოიწვია, და შემდეგ
გადავიდნენ «დასელებზედ».

— ეს «დასელობა», ბატონო, უნდა მოგახსენოთ, სწო-
რედ ყმაწვილობაა და მეტი არაფერი, — დაიწყო ერთმა
განათლებულმა, — ერთის დაყოფა, დაქუცმაცება და მერე
ისიც პატარა ერთისა, როგორც საჭართველოს ერთია და
ერთმანეთს შორის უსიამოვნობის და შთოთის ჩამოგდება,
ჩვენ აწინდელ ყოფაში განა დაბრძნილს და ჭიუათა მყო-
ფელ ადამიანს შეჰქონის? რასაკვირველია, არა.

შეიძლება, ეგ აზრები და თეორიები საზოგადოთ
კარგიც იყოს და ჩინებულიც, მაგრამ ჩვენს ერს გამოად-
გება მერე დღევანდელს გარემოებაში!?

— როგორ გვინიათ, იმ მცნების მიმდევარ ჩვენს
„დასელებს“ ღრმად-კი აქვს შესწავლილი და ესმით ეს
მცნებანი? ბევრჯელ მქონია მათთან ლაპარაკი ამ საგანზედ

და, თითქმის, ყველას და ყოველთვის განსხვავებული აზრი წარმოუთქვამს. მაგ მოძღვრების მოთვეს, ბატონო, არსად არ უთქვამს ენისა და ეროვნების უარ-ყოფა და მეტი ნაწილი კი ჩვენი დასელები გაიძახის: «ეროვნება რაია! საცა მაძლარი ვიქნები, ჩემი სამშობლო იქინეაო». ბრძენთაგან-კი თქმულა ძველადვე და ახალი დროის შეცნიერნიც ამბობენ, რომ: — „სამშობლოს, რაც უნდა პატარა იყოს იგი, პატიოსან ადამიანის გულში მაინც დიდი ადგილი უჭირავსო.“

— მოუხეშავი და ჩვენი ხალხისათვის ნიადაგის შეუფერებელი აზრების შემოტანა, ვიმეორებ, დიდი უმეტებაა და შეცოდება სამშობლო ქვეყნის წინაშე: აი, აქ ას კაცზე მეტი გლეხ-კაცობა არის და აბა ვკითხოთ, რას გვეტყვიან ამ საგანზედ.

მიუბრუნდა გლეხებს და ჰკითხა:

— თავი ნუ მოგიკვდებათ, ერთი ეს გვითხარით: სხვაგან რომ აშენებული სახლი იყიდოთ და მოიტანოთ, შეიძლება ხელწაუკრელად, შეუკეთებლად და შეუსწორებლად დადგათ და ივარგებს ასე დადგმული?

— არ ივარგებს, ბატონის უპასუხეს გლეხებმა. რაც უნდა კარგად ნაშენი სახლი იყოს, აშენების შემდეგ ის უთუოდ შეიკლებს, შეიკენობს, შედრკება მისი შეუკეთებლად დადგმა არ შეიძლება. უნდა ცოტა რანდა გაესვას, შალაშინი გაეკრ-გამოეკრას, შეკეთდეს, გასწორდეს და ისე დაიდგას, თორემ არ ივარგებს.

— ეგ-კი, მაგრამ ისე შეუსწორ-შემოუსწორებლად,

რანდა გაუკვრელ-გამოუკვრელად რომ დაიდგას, როგორი იქნება?

— როგორი იქნება, ქვე შენი ჭირიმე, და არ ივარ-
გებს. ჭიჭიტალები დაჲყვება, სინათლეს ვერ დაიჭერს და
სიცივეს.

— ახლა ეს მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ტყის
პანტა-მაჟალოს ნერგი რომ მოგაქვსთ და რგავთ ეზო-
ვენახებში, რაღათ ამყნობთ, რატომ ისე აღზღილიდგან
არა სჭამთ ნაყოფს? მისი ნაყოფიც ხომ შესახედავად
კარგია?

— შესახედავად, ღმერთმა კაი მოგცესთ, ქვე შენი
ჭირიმე, კარგად ის იყოს მიწითლებულ-მიბრაწული თავის
დროზედ, მაგრამ დამყნილისთანა ქვე როგორ იქნება!
ტყის მაჟალო და პანტა რომ სჭამო, კუჭსაც მოგიშლით
და გულ-მუცელსაც აგირევთ და ნამყენის ხილი-კა აღა-
მიანს რძესავით შეერგება.

— რა ეგ გინდათ, დაიშუო ერთმა განათლებულმა,
აიღეთ ამერიკული ვაზი, ამერიკაში ის კარგად ხარობს და
ძალიან კარგად არის, მაგრამ ჩვენში მოტანილს და დარ-
გულს ჩვენს ნიადაგზედ, თუ ზედ ჩვენებური ვაზი არ
ამყნე და ასე არ შეუფერე; არათრად ლირს. და მაგ და-
ლოცვილ ზოგიერთს ჩვენ მესამე დასელებს-კა გაუგონიათ,
სადღაც ეს და ეს აზრიათ, დაფრენიან ორივე ხელით ყურებ-
ში, გადმოუთოვეთ შეუფერებლად და უნდათ ჩვენს ხალხს
მიაწოდონ. აწყენს ხალხს, აპა მაშ რა იქნება? გურუ-
ლებს ხომ ნატისუსალი აართვა მაგისთანაობამ და ახლა

სხვაგანაც განიცდით, ეს ჩვენთვის შეუფერებელი ნაყოფი რა შედეგს მოიტანს! ვინ დაზარალდება უველა ამითი? რასაკვირველია, გულუბყვილო ახალ გაზღაობა და გლეხობა, ზოგს აქეთ უზმენ თავს და ზოგს იქით, ჩვენში კიდევ მათ ნამოსახლზე სხვა ტომის ხალხს ჩამოსახლებენ; იზარალებს ქვეყანა, მაში რა მოუვა!?:

— იმიტომ მოგახსენეთ წელან, რომ ჩვენი მესამე დასელები შემცდარი არიან-მეთქი და სცდებიან კიდევაც. ხალხოსნობის და ეროვნების უარისყოფა თავისათავის უარისყოფაა, თავისი თავის დამცირება და გაბრიაბრუება! ქვეყანა ჩვენ მოგვდგომია ჩასანთქავად და ახლა, ამ დროს ქადაგებენ ეროვნების უარყოფას... შეხედეთ, ბატონებო, გადამთიელს ვაჭრებს, რასა შვრებიან? აღმოსავლეთი საქართველო ლამის ნახევარი დაისაკუთრონ და ხელში ჩაიგდონ! ჩავუკვირდენ, ბატონო, უფრო ღრმად მათს მოქმედობას. ჩვენები და დარწმუნდებიან, რომ ძლიერის კავშირით გამტკიცებულ და მხოლოდ ეროვნულის გრძნობით გაულენთილ ვაჭრებს და სხვებს... უნდათ ჩვენი ჩაყლაპვა, დედამიწიდგან აღგვა... ამ დროს გამოდიან ზოგი ერთი უმეცარი „ბავშვები“ და ძმათა შუა შფოთს აგდებენ და ცეცხლს უგიზინებენ.

— ზოგი კიდევ იმასა სწერს და გვირჩევს, შეურიგდით, მათდამი წყენა და უსიამოვნება გულიდვან ამოილეთო, ვაჭრები ამას იქით ჩვენი დიდი მოყვრები იქნებიანო. ეჲ! ესენიც ვერ უკვირდებიან საგანს ღრმად და ისე ზედა-პირულად მსჯელობენ. სომხებს ვინდ შეურიგდი,

გინდ არა, ისინი თავის გატკეპნილ გზას არ გადაუხვევენ და თავიანთ გადაწყვეტილ საქმეს არ უდალატებენ, ისინი ვეღარ იშობებიან ხელახლა განსპეტაკებულნი.

— არა, ბატონებო, სთქვა ერთმა, თუ ჩვენ არ გამოვფხიზლდებით და არ შევერთდებით წმინდა ძმურის სიყვარულით და თუ ჩვენს ავლა-დიდებას ხელში მაგრად არ დავიჭროთ, ისე თქვენ არ მამიკვდეთ, არც სომეხმა მოგვცეს რამე, არც თათარმა და არც სხვებმა.

— დღეს გაცხარებული ბრძოლაა, ბრძოლა ეროვნული და ჩვენზედ მოტანილი აქვთ იერიში; ჩვენებურს „მაშუალებს“-კი სძინავთ. და ისინიც ტკბილად ნანინას ულილინებენ, რომ უფრო მაგრა დაძინონ.

— თორმეტი წელიწადი ვიყავი ქალაქში, დაიწყო ერთმა კოხტად ჩატარებულმა გლეხმა. უნდა სიმართლე მოგახსენოთ, სომხებისთანა ერთიმეორის გამტანი ხალხი არ იქნება; ბევრჯერ მინახავს, რომ ვაჭრები, ხილით მოვაჭრე კინტოს ჯერ ჰკითხავდნენ: ქართველი ხარ თუ სომხიო, და თუ ქავრთველი ვარო, ეტყოდა, აღარას ყიდულობდენ...

— კახეთსა და ქართლში დავყავ ხუთიოდე წელიწადი, სთქვა ერთმა ხურო-ხელოსანმა და რაც მე იქ აინები მინახავს ვაჭრებისაგან ჩადენილი, მისი ჩამოთვლა ძნელია. ისე დანავარდობდნენ სოფლის საგლეჯად, როგორც ნადირები.

ბაასი დიდხანს გაგრძელდა, ბევრი საგულისხმო რამ კიდევ ითქვა და ბოლოს ხალხმა დაშლა იწყო; ამ დროს

ერთი მესტვირე მოვგვიახლოვდა და სხვა ლექსებთა შორის, ეს ლექსიც დამღერა სტვირზედ;

,,ვაჭარო, მაგ შენს აბაზში
სისხლი და ოფლი ჩვენია,
როგორ არა გაქვს ლვთის შიში,
ან კაცის არა ვრცხვენია.

,,რომ ჩვენვე მოსაწამლავად
ხელში გიჭირავს ეგ ფული
და უცდი მარჯვე შემთხვევას,
რომ ამოგვაძრო მით სული!..

,,რა დაგიშავეთ, რას გვერჩი,
რა მოგვიცია მიზეზი?
ის, რომ არ მოუქნევია
ჩვენ სულ-გრძელობას ჯერ დეზი?

,,იყრე აფასებ და გვიხდი
ჩვენ გულ-უხვ მასპინძლობასა,
რომ დღემდინ ტურა-მელობდი
და დღეს-კი იჩენ მგლობასა?

,,სოფელს ატყავებ უშიშრად
და რამამად ჰერავ ქალაქსო;
სისხლ-მეტი ხომ არ გაწუხებს,
ხომ არ თხოულობ დალაქსო“.

VI

რაჭაში გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის განწყობილობა მეგობრულია და ჩინებული, იგინი ერთი-მეორის ჭირისუფალნი, კარგნი მეგობარნი და ტკბილნი მეზობელნი არიან და ეს, მგონია, უფრო იმიტომ არის ასე, რომ აქაური თავად-აზნაური გლეხივით მშრომელია, მომზირნე და ოჯახის კარგი მომვლელი.

თავად-აზნაურობას იშვიათად ჰყავს მოურავი, თვითონვე უძლვებიან თავიანთ ყოველ დღიურ საქმეებს, უმოურავოდ, უდავიდარაბოდ.

აქ გლეხი თავად-აზნაურის შინაური კაცია, ვიმეორებთ, მეზობელია და მეგობარი. აქ ისე არ არის, როგორც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებში, რომ საწყალ და მუდამ მშრომელ გლეხს მედიდურად შემოსძახებენ:

— „ეი, ყაძახო, ვის უბედავ შენ, შენი ტოლი ხომ არა ვარ?! მე კეთილ შობილი ვარ, იცი თუ არაო!

რაჭა ღმერთს დაუფარავს იმ გვარ კეთილ შობილი-საგან, რომელსაც ყოველივე ადამიანობა დაკარგული აქვს და მხოლოდ თავის შთამომავლობით ტრაბახობს. ამ გვარს აღარ იგონდება ძველთაგან თქმული:

„კაცი თუ ვარგა, რათ უნდა
მისი მოდგმისა ცილობა?

თუ თვით არ ვარგა, რას არგებს.

მამა-პაპთა შეილობა?!“

რაჭაში ამ გვარ კაცებს იშვიათად ნახავთ, პირ-იქით

აქ უფრო შეხვდებით, როგორც ზევითა ვსტკვით, ერთ-მანეთის მოყვარულთ, მოჭირისუფლეთ. აი ორიოდე მაგა-ლითი.

სოფელ ტოლაში მცხოვრებელმა თავადმა კოსტან-ტინე ყიფიანმა გაანთავისუფლა თავისი დროებითი ვალ-დებული გლეხკაცობა ყოველივე სამსახურისა და ბეგა-რისიგან და უსასყიდლოდ დაუთმო მთელი ის აღვილ-მამული, რაც გლეხებს ეჭირათ და ჰფლობდნენ მამა-პაპით.

რაჭაში თუმცა მამასისხლად ფასობს აღვილ-მამული, მაგრამ კონსტანტინე ყიფიანს ერთი გროში, ერთი კაპე-იკი არ გამოურთმევია გლეხებისათვის.

არ, ამ გვარ თავადებს უძლვნის აკაკი შემდეგ სიტყვებს:

„კურთხეულ იყოს თავადი

ერთგული ხალხის მოყვარე,

გასანათებლად ბნელისა.

სხივთა მფენელი, ვით მთვარე.

—
იყოს კურთხეულ მარჯვენა
მისი, კეთილის მთესველი,
კარგისთვის, კარგის მომნიჭე,
ბოროტზედ ცეცხლის მკვესელი.

—
ამშალლებელი ხალხისა
თვით ამალლდება ცათამდე,
გაისმის მისი სახელი
ამიერ უკუნისამდე.

მარიამობისთვის 10.ს, სხვათა შორის, ამ გვარ შემთხვევას ლავესწარით.

ტოლაში მცხოვრებ თავ. დიმიტრი ალექსანდრეს ძე ყიფიანთან მოვიდენ ვაჭრები და სთხოვეს მიეყიდნა მათვის ერთი „სასიმინდე“ სიმინდი, მაგრამ თავ. დიმიტრიმ არ მიჰყიდა იმ მიზეზით რომ: ეგებ ჩვენი სოფლის გლეხობას აკლდეს საზრდო, „ვიდრე გლეხობას არ ვკითხავ, ვერ მოგვიდითო.“

— ბატონო! თუ აქაურს სოფლელებს ჰკლებოდათ სიმნდი, აქამდე მოგაკითხავდნენ, და ბარემ მოგვყიდეთ და მეორეთ ნულარ მოგვიყვანთო.

— არაფრის გულისათვის არ შემიძლიან გავყიდო სოფლის დაუკითხავად, კეირას ყრილობა იქნება, გავგზავნი კაცს და გამოვუცხადებ, თუ არ დასჭირდებათ, მერე შემიძლიან მოგვიდოთ, თორემ სოფელს რომ უჭირდეს და მე ნამუშევარი გარეშეებს მიეყიდო, ქვეყანა რას მეტყვის?!

გლეხებმა თავადის განცხადება რომ გაიგეს, თამამად და გულდაგულ მოვიდნენ, აირწყეს გოდრებით სიმინდი, გაინაწილეს ერთმანეთში და წაიღეს სესხად ახალ სიმინდის მომწიფებამდე და მოტეხამდე.

რაჭაში ასეთი ჩვეულება, თურმე ძველთაგანვეა დარჩენილი. თუ გლეხს სჭირია რამ, თავად-აზნაურობა უნაცვლებს ხელს, აძლევს მას სესხად სარგებლის გამოურთმევლად, სრულის თანაგრძნობით უყოფს ჭირსა და ლხინს; ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ აქ გლეხობასა და თავად-აზნაურთა შორის ძმური განწყობილობა სუფევდეს.

მე ვიცი იმერეთში ბევრი იმისთანა თავად-აზნაური, რომლის ნაყმევებსაც ვალად აძევს წელიწადში ტყისა და სამოსახლოს ფული ერთი აბაზიდგან — ექვს აბაზამდე, და თავის დროზედაც ვერ აბარებს ამ ფულს. მებატონებმ ამ ფულის გამოსართმევად უნდა გაგზავნოს მოურავი და ან თვითონ უნდა წავიდეს და ერთჯერსორჯერ მისვლით განა-კი შეასწრებს ვალდებულ გლეხს სახლში? ხან უნდა ჩაუჯდეს სახლში გლეხს და დაახარჯვინოს: ქათამი, ღვინო, პური და სხვა. ზოგჯერ საჩივრები იმართება მომრიგებელ შუამავლთან და რა თანხაზედაც საჩივარია, ათი იმის საღირალისას ერთიცა და მეორეც სცდებიან და ხარჯვენ.

ეს საჩივრები და უკან დევნა ჰბადავს დაუსრულებელს უსიამოვნობას გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის.

ფრიად საჭიროა, ამ გარემოებას და საკითხს ჩაუფიქრდეს ჩვენი თავად-აზნაურობა და თუ თავ-დახსნით და ნება-ყოფლობით არ შეიძლება საქმის დაბოლოვება, აღძრან შუამდგომლობა რომ ეს მუდამ საღავიდა-რაბო „ნადელი“ რაცხაფერად მოსპონ, ან მიწის გაყოფით ან სხვა რამ საშუალებით, რომ მომეტებულ შემთხვევაში გლეხობასა და თავად-აზნაურთა შუა მუდამ განხეთქილება და უსიამოვნება არ იყვეს და ის წყლული, რომელიც აღრევე უნდა მოშუშებულიყო, და მორჩენილიყო, ხელ-ახლად არ ახლდებოდეს და ორივე მხარე ხარჯს და დაუი-დარაბას აღარ ეწოდეს.

რაჭის გლეხობა ქონებრივად, მათ და სასახელოდ, ზოგიერთ თავად-აზნაურზედ დაბლა არა სდგას და აქა-იქ კიდევაც წავუსწვრიათ წინ.

რაჭის ერისთავის როსტომ დიდის სამკვიდრო და სასახლე ერთს გლეხს უყიდნია, განუახლებია და ისეთი შენობები გადაუჭიმავს, რომ კაცს თვალს მოსტაცებს.

რაჭისა და საზოგადოდ მთელის იმერეთის თავად-აზნაურთა მამულები ნაკვეთ-ნაკვეთად და ნელ-ნელა გადადის მშრომელ გლეხების ხელში...

საქართველოს ყოველ კუთხეში და მეტადრე საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, უეჭველი ნიშნები სჩანს მისი, რომ თავად-აზნაურთა უმეტესი ნაწილი თავისი მცონარეობით და ოდგილ-მამულზედ გულის აყრით და აცრუებით, უნდა გაღატაკდეს და ბოგანოდ გახდეს...

დიალ! ბოგანოდ უნდა გახდეს მეთქი, ვამბობ მიტომ, რომ რაღაი კაცი თავს მრჩენელ-მასაზდოებელ დედა-მიწის ნიადაგს ფეხქვეშიდამ გამოიცლის, სხვას გაუბოდებს და დაპკარგავს, ის თუ არ ბოგანო, მაშ რაღა იქნება?

იმერეთში რომ თავად-აზნაურთა მამულები გლეხ-კაცობის ხელში გადადის, განძი რომ ერთი ხელიდამ მეორეში ვარდება, იმავე დროს, ჩვენდა სამწუხაროდ, აღმოსავლეთ საქართველოში, რაღგან გლეხ-კაცობა უფრო შეუგნებელია და სიბნელით მოცული, გამოუფხიზლე-

ბელი, მთელი ადგილ-მამული თავად-აზნაურობისა უცხო ტომის თესლს უვარდება ხელში, და ეს მოვლენა-კი საწამლავად ხდება ქალთველთა არსებობისათვის და მისი ეროვნობის გაძლიერება-აღორძინებისათვის.

VII

რაჭაში, ამ დაუცხრომლად მშრომელ ხალხში, ხშირად შეხვდებით ღრმად მოხუცებულ კაცებს, მაგალ., მეორე ტოლაში სკოვრობს ისესებ დავითის ძე გაბისიანი, რომელიც ას-ოცდა-ხუტმეტის წლისა (155) არის, ამ მოხუცს ყურთა-სმენა ჯერ-ჯერობით კარგი აქვს; სულ ექვსი წელიწადია, რაც კბილები დაჰკლებია, მაგრამ ხელი ახლა ამოსვლია ახალი კბილები, ძველ კბილებზედ უფრო განიერები, გეგონებათ ორი კბილი ერთად შეერთებულათ; სამი წელიწადია, რაც თვალთ დაჰკლებია. მუშაობა აღარ შეუძლია, ხოლო სიარულით, ახლო-მახლო კიდევ გვარიანად დადის, ჰყავს მოხუცებული შვილები და მეხუთე დგმამდე შვილი-შვილები.

— „,მე ახლა ას ორმოცი წლის უნდა ვიქნე, — დაიწყო მოხუცმა ისებმა, — თუთუნი ჩემს დღეში არ მამი-წევია, არც ავადმყოფობა ვიცოდი, ეს ექვსი წელიწადია, რაც კბილები დამაკლდა, მაგრამ რაც შემრჩა ძველი კბილები, ისინი მაგრად არიან, ჯერ არ მენძრევა, რამოდენიმე კბილი ეს ორი წელიწადია რაც ხელ-ახლა ამომივიდა. ამ სამს წლამდის მუშაობითაც კარგად ვმუშაობდი, თოფსაც კარგად ვისვრიდი, ყურთა სმენა, როგორც ჰედავთ, ჯერ კარგად მაქვს, სამი წელიწადი იქნება, რაც

თვალებმა მისუსტეს, კარგად ვეღარა ვხედავ. ბევრი მა ხსოვს ძველი ამბები და ჩვენი ქვეყნის თავ-გადასავალი.

„კრწანისის ომის დროს, როცა ირაკლი მეფეს დიდი მტერი მოადგა და შინაურებმაც ულალატეს, კარგა მოზრდილი ვაუკაცი ვიყავი, მახსოვს კარგად, რომ საომრად კრწანისს რაჭიდგანაც ბევრი წაიყვანეს, და ბევრიც გაწყდა ჩვენები იმ ომში. ცოცხალი მოვიდენ მხოლოდ თავადი კაცი ყიფიანი, გრიგოლა სვანიძე და მარკოზე ლა ლომთაძე. აქედგან წასულები მთლად ამოეწყვიტათ ამ სამი კაცის მეტი.

„მეფე სოლომონი და დიდი გრიგოლ დადიანი გუშინდელ დღესავით მახსოვს.

„გრიგოლ დადიანმა რომ რუსები შემოიყვანა სამეგრელოში, კარგად მახსოვს.

ლეჩეუშმი სოლომონ მეფეს და გრიგოლ დიდიანს ომი ჰქონდათ, ბოლოს გრიგოლ დადიანმა ჰყვიშის ციხეში მიიყვანა რუსები და ჩააყენა შიგ. როგორც წინეთ, ისე ცოტა ხნის შემდეგაც დიდი ბრძოლა გაუწიეს იაშვილებმა და წულუკიძეებმა რუსებს მათ შემოსვლისას რაჭაში. მახსოვს კარგად ნიკო, როსტომ და მიზარბეგ იაშვილები, დიდი გრიგოლ წულუკიძე და სხვანი. ისინი გაიფიცენ, რაჭაში რუსები არ შემოეშვათ, მათ ოცდა ათზედ მეტი ბუკი ჰქონდათ, აყვირებდენ ყველგან და უძახოდენ ხალხს.

„ისინი უფრო ძლიერ გაუმაგრდენ რუსებს ქვემო და ჟემო რაჭის სამძღვარზედ „ხიდის კარში“ და ბევ-

რიც ამოწყდა ორივე მხრით. რაჭას რუსები ვერც დაიკავებდენ, რომ ყიფიანებს არ ელალატნათ და რუსებს არ შიდგომოდენ მომხრეებათ.

თუმცა დიდი ბრძოლა გადაიხადეს და დიდი ხალხიც გაწყდა ამ ომში, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდენ რაჭელები რუსებმა გაიმარჯვეს და შამოვიდენ რაჭაში.

ომის მოთავეები-კი მომეტებული სვანეთისაკენ გადავიდა, ზოგი დაიჭირეს და ბევრიც ჩამოახრჩეს აქვე რიონის პირად საღმელის ბოლოზე, სადაც რუსის ჯარი იყო დაბანაკებული. ბევრი ცრემლი დაიღვარა მაშინ რაჭაში, ამ საცოდაობის ნახვით, მაგრამ აბა რაღა იქნებოდა, შველით ველარავინ ველარავის უშველა.

დიდი გრიგოლ წულუკიძეც დაიჭირეს და ტფილის ქალაქში წაიყვანეს რუსებმა და რომ ვერაფრით ვერ გასტეხეს, იქ მოედანზე დასობილ ბოძზედ მიაკრეს გრიგოლ წულუკიძე, წაუსვეს თაფლი მთელს ტანზე ამ მარიამობის თვის პაპანაჭება სიცეცში და მთლიად ბუზებს შეაჭამეს.

იაშვილების ბარობაზედ რუსებს აღარა დაუტოვებიათ რა, ისე დასწვეს სახლკარითა და დასდაგეს, რომ ნატამალი აღარა გაუშვიათრა.

რაჭას დიდი უბედურობა და გაჭირვება გადახდა მაშინ.

„როცა იმერეთში მეფე სოლომანი დაამრცხეს რუსებმა, რაჭაში გადმოვიდა მეფე და რამოდენიმე ხანი სოფ. ხვანჭკარაში მცხოვრებ მეტონიძეებისას დაჰყო.

მეტონიძეები იმ დროს ძალიან ღონიერად სცხოვრობდენ.

„როცა მეფე სოლომონი წაბრძანდა, ასი მარჩილი დაუტოვა მასპინძელს სანუფქოდ: მეტონიძე შეწუხდა და უკანვე უბრუნებდა მეფეს ფულს: „ახლა მეფეს ფული როგორ გამოერთმევა, ამისთანა გაჭირვების დღე ადგიაო“. მაგრამ იმისმა ცოლმა, წულუკიძის ქალმა, არა ჰქნა: „მეფეს ფულს როგორ უბრუნებ უკანო, ჯერ ერთი რომ უუკადრისებს ფულის უკანვე გაბრუნებას და მეორე, მეფეს ჩვენზე მეტი ფულები აქვს და რათ უნდა გაუბრუნოთო-“ ამ გვარად მეტონიძეებს ფული აღარ გაუბრუნებიათ მეფისათვის.

„სოლომონ მეფის დროს გადასახადი თვითვეულ ოჯახზედ ორი აბაზი იყო, მეტი ჩვენ არა ვიცოდით რა. მხოლოდ ხანდახან, ათასში ერთხელ, სოფელზედ თითო თაინს (ძროხას ან ხარს) მოჰკრეფდენ ხოლმე მეფის და მისი ამალის გასამასპინძლებლად, მაგრამ ეს ხშირად არ იყო.

თუ ციხე იყო საკეთებელი ან გზები, ან გასაფუჭებელი და ჩისახერგი, რომ შამოსეულ მტერს ვეღარ გამოველო, ამისათვის ხალხი ყოველთვის დაუზარებლად მიღიოდაო“.

აქ დაასრულა სიტყვა მოხუცმა. ვსწუხვარ, რომ საფოტოგრაფიო მანქანა არა მქონდა რაჭაში, რომ, სხვათა შორის, ამ ღრმად მოხუცებულის იოსებ გაბისიანის სურათი გადამეღო.

მივაჭრევ ჩვენის მხატვრების ყურადღებას რაჭაზედ

და ვურჩევ მოიარონ რაჭა. აქ საუცხოვოდ ნაგები ციხე ეცულესიათა და განსაცვიფრებელი სიკეცულუცით შემცულ ბუნების გარდა, ნამდვილ ქართულ ძველს ტიპებს ნა-ხეენ.

ჩვენ ქვეყანას ეს უკანასკვნელი დარგი მხატვრობი-სა ყველაზედ უფრო ძლიერ აკლია. საცა-კი მიიხედ-მო-იხედავ, ქართველი კაცი უთუოდ ხანჯალ ამოწვდილია დახატული, ან თოფით ჩასაფრებული, ან ღვინით სავსე ყანწებით ხელში და ღლიაში ტიკჭორა გამორჭობილი აქვს, ამ გვარი ნახატები, რასაკვირველია, ყველა უცხო მოსულთ მოგზაურთ ძალა უნებურად აფიქრებინებს ჩვენ-ზედ იმას, რომ ჩვენს ხალხს არავითარი დარგი მუშა-ობისა არა აქვს და მხოლოდ ყაჩალობისა და ლოთობის მეტი არა იცის-რაო.

ქართველობა დასაბამითვე მუშა ხალხია და ვერც ერთმა დრომ, ვერც ერთმა ომმა და გაჭირვებამ მას გუ-თანი, თოხი და ბარი ხელიდგან ვერ გააგდებინა, ვიმეო-რებ, ამ მუშაობის დარგს უნდა მიექცეს ჩვენი მხატვრე-ბის ყურადღება.

აიღეთ თუნდა, მაგალითად, იაპონია: ყოველ მათ მიერ გამზადებულ საქონელზედ, ყოველ უბრალო ნივთ-ზედაც-კი მათი სახეა გამოყვანილი, უთუოდ რომელიმე მუშაობის დარგით და იმ მუშაობაში სახარ შესაფერის იარაღით.

რაჭა მხატვრობისათვის დიდი და აუარებელი მასა-ლაა, თუ ისარგებლებენ ჩვენი ეროვნების მიმდევარი პა-ტივცემული მხატვრები.

დასასრულ, უნდა ვსთქვათ ისიც, რომ ჩვენ, საზოგადოდ, ძალიან ჩამორჩენილი ვართ ჩვენი სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხის ცნობა-ცოდნაში. იმერელი კარგად ვერ იცნობს ქართლ-კახეთს, თუშ-ფშავ-ხევსურეთს და ქართლ-კახელი და თუშ-ფშავ-ხევსურები სრულიად არ იცნობენ იმერეთს, თუ სახეში არ მივიღებთ იმას, რომ რუკაზედ უნახავთ და ან ერთჯერ-ორჯერ ზოგიერთს მათგანს რეინის გზით გაურიხინებია იმერეთზედ.

ჩვენ უცხო თემის ხალხს ესძრახავთ და ვემდურით: „არ გვიცნობენ, ჩვენზედ შემცდარი აზრი აქვსთ შედგენილი და კარგად ვერ გვიხსენიებენ სიტყვით და წერითაო“, და ჩვენ თვითონ ამავე დროს არ მოგვივლია, არ გვინახავს და არ დაგვივლია ჩვენი სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხე, არ შეგვიგნია ერის ავ-კარგი და ადვილ-მდებარეობა. ჩემის აზრით, ქართველობა მოვალეა, ეს ნაკლი შეძლებისა დაგვარად შეავსოს.

ძლიერ კარვი იქნება, ჩვენმა მოსწავლე ახალგაზღაობამ წესად შემოილოს, ზაფხულის თვეისუფალ თვეებში დაიარონ თავის სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხეები: იმერეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, საათაბაგო, ქართლი, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო და სხვა-და-სხვა.

შე ბევრმა მოხოვა რაჭაში, რომ გადამეცა რაჭველების თხოვნა ჩვენი ხალხის ძვირფასს მწრრალ ილია და აკავისათვის, რომ ეს ორი ჩვენი ერის სასიქადულო მამული შვილი და ხალხის სულიერად ამღზდელნი, ერთს ზაფხულს სწვეოდნენ რაჭას.

— „შე კაცო“, მომიბრუნდა ერთი რაჭველი დიდს
შეკრებილებაში და მითხრა: „გუშინაც გთხოვა მთელმა
საზოგადოებამ და ახლაც ხომ ხედავ, რა ნაირად მონდო-
მებული არიან, ერთი მოახერხე, თუ ღმერთი გწამს, გა-
დაეცი ჩვენი თხოვნა, რომ გვეწვიონ ერთს ზაფხულ-
ში ჩვენი ერის სულით ამლზდელნი ილა და აკაკი.

— კი ბატონო, დიდის სიხარულით და სიამოვნებით
შევასრულებ თქვენს თხოვნას-მეთქი, ვუთხარ, ჩავალ თუ
არა ტფილისში, ვიახლები ილიას და აკაკის და გადავსცემ
თქვენს თხოვნას...

— იმე! ერთი რაჭა-ლეჩხუმისაც გადაავლონ თვალი,
ჩვენც გვნახონ, გაიგონ ჩვენი ავი და კარგი, ჰავა მდიდარი და
მშვენიერი გვაქვს, მაღნეულის წყალი ყველგან მრავალი,
და ამასაც მოგახსენებ, შენ არ მოუკვდე ჩემს თავს,
აქაური წყალი ბორჯომის წყალს არ ჩამოუვარდეს სიკე-
თით. ზოგგან კარგი საეტლო გზები გვაქვს და დანარჩენ
ადგილებისათვის კარგი ჯორ-ცხენი, გაჭირვებით არას
გაუჭირვებთ, მხოლოდ გვიკადრონ და მობრძანდნენ.

სოსიკო მერკვილაძე.

„ცოდნა“-ს წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

რაჭა (გზა და გზა) სოსიკო მერკევილაძეს	20	გ.	
ლექსიები ილია ჭავჭავაძისა — სურათით	15	გ.	
რაშაა ბედნიერება? იასე რაჭევლისა	10	გ.	
სამშობლო და კაცობრიობა ნათ. ივ. მაჭავარიანისა	10	გ.	
სიმღერა აკაკისა სურათით	15	გ.	
წმიდა გილოგის რაზმი აკაკისა	5	გ.	
გრიგოლ თობელიანის ლექსიები	20	გ.	
გულტერა ლიპერტისა ნათ. კ. უიტიანისა	50	გ.	
ლექსიკონი რუსულ ქართული, მინერალოგ. ასტრონომ.			
ზორალოგ. და ტეხნიკ. სიტუებისა კ. უიზიანისა	50	გ.	
სამეგრელოს საერთ სკოლები ლ. ლოლუასი	5	გ.	
ბაში აჩუქი აკაკისა	30	გ.	
გაჭრული ჭიჭა აკაკისა	5	გ.	
შატარა ჩონგური (დედა ენა)	5	გ.	
დათუსა გოცარიძე და რაჭის ერისთავი როსტომი	5	გ.	
ოქრუს (ხალხური ზღაპარი)	5	გ.	
ორი ქასატუულა			
ბიჭია მენახირე	ხალხური ზღაპარი	10	გ.
მეფე და სკვინხა			
აბრამის და იობის ლექსი	3	გ.	
თამარ შეფე სურათით	5	გ.	
სურათი თამარ მეფისა დიდი	1—50	გ.	
„ „ „ „ პატარა	6	გ.	

სომებთა მეცნიერნი და ქვათა ლალადი ა. ჭავჭავაძისა	„— 30	გ.
თარგმანი იგივე რუსულად	„— 50	გ.
დამაკვირდი — ბრძენთა და შეცნევებთა აზრები	„— 50	გ.
მამიდა ასმათი გ. წერეთლისა	„— 20	გ.
თავ გადასავალი აკაკისა	1—	„ „
სიტყვაერების თეორია ე. გ.	1—	„ „
გლეხი გაცის ისტორია მე-2 მე-3 და მე-4 ნაწილი	1— 80	გ.
დამონებული ნათ. თ. სახოვასი	1—	„ „
ლექსიკონი ქართულ რუსულთა ჩუბისა შვილისა უდით	— 9	„ „
ამგვარივე რუსულ-ქართული უდით	3—	„ „
ლექსიკონი საბა სულხან ფონბეჭიანისა	2—	„ „
ოხტოულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა, ალ. ერმაგისა მამია გურიელისა, გიორგი წერეთლის, გრ. აბაშიძისა,		
გაუათშაველასი, არაგვისპიორელისა, ია. უკალაძისა და სხვათა.		
სურათები: აკაკისა, გიორგი წერეთლისა, ნიკ. ბარათა შვილისა ირაკლი მეფისა, ჯგუფი ქართველ მწერალთა.		
შოთა გეოგის ტეატრისის მიტომევა თამარ მეფესთან		
პატივით	30 გ.— 70 გ.	
საქართველოს დიდება, დიდი სურათი საბინინისა	1— 20	გ.
ქართველ მწერალთა და მსახიობთა სურათები		
საფოსტო ლია ბარათზედ თითოე	5 გ.	

აქეე ისეიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო და ერვენდგარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყონებლივ გაეგზავნება ფას დადებითაც.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“
დეპეშისა, Тифлисъ „ЦОДНА“.

მაღაზის პატრონი სოსიეთ მერკვილაძე.

„ОПЕРА“-ს წიგნის მაღაზიაში

რაჭა (ცხა და გზა) სოსიკო მერქვილაძისა	20	გ.
ლექსები ილია ჩავტავაძისა—სურათით	15	გ.
რაშა ბედნიერება? იასე რაჭელისა	10	გ.
სამშობლო და კაცობრიობა ნათ. იუ მაჭავარიანისა	10	გ.
სიძლერა აკაკისა სურათით	15	გ.
წმიდა კილგის რაზმია აკაკისა	5	გ.
გრიგოლ ლობელიანის ლექსები	20	გ.
გულტერა ლიმერტინისა ნათ. გ. უიფანინისა	50	გ.
ლექსიკონი რუსულ ქართული, მანერალოგ. ასტრონომ. 50	გ.	1
სამეცნიეროს საერთ სკოლები დ. ლოდევასი	3	გ.
ბაში აჩუქი აკაკისა	30	გ.
გაჭრული ჩამა აკაკისა	5	გ.
პატარა ჩონგტრი (დედა ქა)	5	გ.
დათვა გოცირიძე და რაჭის ერისთავი როსტომი	5	გ.
ოქტავი (ხალხური ზღაპარი)	5	გ.
ორი ქრის ტეუილა, ბიჭა მენასინე, მეფე და სავისეს 10	10	გ.
აბრამის და იაბის ლექსი	3	გ.
თამარ მეფე სურათით	5	გ.
სურათი თამარ მეფის დიდი 2	1—50	გ.
„ სატრან	6	გ.

აქე ისეიდება სკოლებში სახმატებელი სახელმძღვანელოები და უგულგვარი ქართული წაგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყონებლივ გაეგზავნება ფის დადებითაც.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“
დებუშისა. Тифлисъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი სოსიკო სოსიკო მარკვალაძე,